# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 21 თებერვალი 2004 №38 (2057) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



შარშან ამ დროს ბორჯღალოსნებმა ესპანელები თბილისურ თოვლში აკოტრიალეს

VS

# ვინ:ივიზმრია?

გუშინ საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ესპანეთს გაფრინდა იქაურებთან კვირას შესარკენად. ნორმალურ ვითარებაში უნდა გვეთქვა, მოსაგებად გაფრინდაო, რაკი ეს სამი წელია, ივერიელ „ლელოებს“ იბერიელი ძალად „ლომები“ შინაური კატებივით აუკრუტუნებიათ. თუმცა, ვაგლახ, ლოგიკა დღეს ჩვენი თანამოაზრე არაა. იმედი ბოლოს კვდება, მაგრამ ახლა თავშივე შეირყა. ყველას აქვს კეთილი უფლება, ნებისმიერ შედეგს დაელოდოს, მაგრამ რას უნდა ველოდოთ საზოგადოდ, როცა ჩვენი რაგბის მამები წამდაუწუმ ჩაგვძახიან, დრო ოხრად გვაქვს და გამარჯვებები ჯერ არ გვჭირდებაო.

# შენოლ გიუნეშს 2006 ხათაბალა აჰკიდეს



ბიშოვეცს არ ვიცნობ. ისე კი, ცოტა უცნაურია, უკრაინა ხომ ჩვენს ჯგუფშია და რატომ მაინცდამაინც მეტოქის კაცი? მიშელი ნამდვილად ძლიერი მწვრთნელია და სასიამოვნოა, რომ ფრანგის ვარიანტი არ გამოგივიდათ

ვაჟა ხუციშვილის ინტერვიუ შენოლ გიუნეშთან იხილეთ მეორე გვერდზე



# მილანი



# დიდი გუნდაობა



არსენალი — ჩელსი 2003. კუდიჩინი წლეულსაც გაუშლის ფეხებს ბურთს?

ზუსტად ვერ გეტყვით, რამდენჯერ ათოვდა მადონინას, მაგრამ ის კი ვიცით, რომ მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი გამორჩეული დერბი თოვლიან „სან სიროზე“ 257-ედ გაიმართება — დღეს „მილანი“ „ინტერს“ მასპინძლობს.

მადონინამ დანდობა არ იცის, მით უფრო ახლა, როცა მილანის „შავ-წითელი“ ნაწილი სკუდეტოს შესჭიდებია და საამსაქმოდ სერია A-ს ცხირილის კენწეროსაც მეთაურობს, „შავ-ლურჯებს“ კი შავად არა , მაგრამ საქმე ისე მისდით, სკუდეტოს ვინ ჩივის, ევებ ჩემპიონთა ლიგის საგზურიც სანატრელი გაუხდეთ.

მილიონობით დახარჯული ევრო-გირვანქების საპასუხოდ ჯერჯერობით ოდენ მესამეობას სჯერდება რომან აბრამოვიჩის „ჩელსი“ და „სტემფორდ ბრიჯზე“ იმის შანსი ეძლევა, პრემიერლიგის სათავისკენ სამქულიანი ნაბიჯი გადადგას: კლაუდიო რანიერის ფულ-თავმომწონე გუნდს ყოჩი „არსენალი“ სტუმრობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უკრაინელებმა ამისულაშვილს ნიშნი ვერ მოუგეს
## თვითონ ლიბიას ვერ მოუგეს

*კიევის „დინამო“ მოსამზადებელ ეტაპს ესპანეთში ამთავრებს. ულამაზეს კურორტ ლა მანგაში ეწყობა საერთაშორისო ტურნირი, რომელსაც ნორვეგიის ფეხბურთის ფედერაცია მფარველობს. ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან LA MANGA CUP 2004-ში ოთხი ნორვეგიული გუნდი მონაწილეობს. მათ გარდა ითამაშებს სამი ამერიკული კლუბი თითო-თითოც უკრაინულ-შვედური.*

*მანამდე კი, დღეს, საუკეთესო უკრაინული გუნდი საუკეთესო ნორვეგიულ კლუბ „რუსენბორგს“ გაეჯიბრება ამხანაგურად. გუშინ ესპანეთში კიევის დინამოელ ალეკო ამისულაშვილს შევეხმიანეთ და საკლუბო-სანაკრებო ამბებზე ვკითხეთ*

— ესპანეთში ხუთშაბათს საღამოს ჩამოვედი. ჩემსავით ჩამოსულები არ დავუტვირთივართ, ვინაიდან ყველას საკუთარი ქვეყნის ნაკრებში გვქონდა ნათამაშები. თან საკმაოდ მომქანცველი მგზავრობაც გაითვალისწინეს. დღეს დილით ვივარჯიშეთ და აშკარაა, რომ დატვირთვებმა იკლო. საღამოს არ ვივარჯიშებთ, ვინაიდან შაბათს „რუსენბორგს“ ვხვდებით, რომელიც თავისი უძლიერესი შემადგენლობით აპირებს თამაშს.



— თანაგუნდელები ხომ არ გექილიკნენ ჩვენი ნაკრების სამარცხვინო წაგებების გამო?

— დააპირეს, მაგრამ „დინამოს“ სხვა ლეგიონერებმა შეახსენეს, რომ თავად უკრაინელებმა ლიბიის ნაკრების დამარცხება ვერ მოახერხეს. ჩვენზე კი ისიც იცოდნენ, რომ უძლიერესი შემადგენლობით არ გვითამაშია.

— რუმინელებთან თამაში გაიხსენე...

— მათ, ფაქტობრივად, ოპტიმალური შემადგენლობით ითამაშეს. მიუხედავად ამისა, გასატანი მომენტი არაერთი გვქონდა. მე სტელიამ ახლო მანძილიდან ფეხით დარტყმული ამიღო. იაშვილს საერთოდ მკვდარი ბურთი გამოუძრო. დარასელიამ პენალტი ვერ გაიტანა. ცუდი თამაში ნაღდად არ ყოფილა, მაგრამ...

— მუტუმ გაილაღა და ხომ არ აჯობებდა, კიევში უკვე კაცზე თამაშს ნაჩვევს მასზე პერსონალურად გეთამაშა?

— ეს მწვრთნელების გადასაწყვეტი იყო, თუმცა ზონური დაცვა, რომელიც გამოვიყენეთ, ჩვენი ნაკრებისთვის უფრო იოლი შესასრულებელია, ვიდრე კაცზე პერსონალურად თამაში.

— ესპანეთში როდემდე დარჩებით?

— 5 მარტს უკან ვბრუნდებით. 7-ში უკრაინის თასის გათამაშება იწყება და ჩვენი პირველი ოფიციალური მატჩიც ეს იქნება.

**დავით ერაძე**

### ინგლისი
II დივიზიონი. XXXII ტური
ჰარტლპული 1:1 ბლეკპული
ქუინზ პარკი 1:1 პიტერბრო

### გერმანია
II ბუნდესლიგა
XXI ტური
კოტბუსი 1:3 ნიურნბერგი
მაინცი 0:0 ოსნაბრიუკი
დუისბურგი 2:0 ტრირი
სამხრეთ რეგიონალლიგა
XIX ტური
ბაიერნი (მ) 0:1 შვაინფურტი

### იტალია
სერია B. XXVIII ტური
პესკარა 2:1 ასკოლი

### ფინეთი
ლიგის თასი. I ეტაპი
ტურკუ 1:2 ჰაკა
ჰიკ 3:1 იოკერიტი
მიუპა 0:1 ალიანსი

### საფრანგეთი
I დივიზიონი. XXV ტური
მონაკო 4:0 მონპელიე

### პორტუგალია
სუპერლიგა. XXIII ტური
ბეირა მარი 0:2 ბრაგა

### ჰოლანდია
I დივიზიონი. XXII ტური
როდა 1:0 ვოლენდამი
II დივიზიონი
XXIII ტური
კამბური 2:0 დორდრეხტი
გრააფსხაპი 0:1 ჰელმონდი
ექსელსიორი 3:1 აპელდორნი
ეინდჰოვენი 3:1 ვენლო
ჰაარლემი 4:3 სპარტა
ჰერაკლესი 3:0 ტელსტარი
ვეენდამი : იგლსი (გადაიდო)

### ბელგია
იუპილერლიგა. XXIII ტური
მონსი 0:1 გენკი

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის II შესარჩევი ჯგუფი
## ჩვენი მეტოქე

### თურქეთი

*ლატვიასთან პლეი ოფში მარცხი თურქთა მწვრთნელი შენოლ გიუნეშისთვის გვარიანი ალიყური გამოდგა. მსოფლიოს ბრინჯაოსნებს ვერ წარმოედგინათ, რომ უსახელო ბალტიისპირელები მათ ძლევას მოახერხებდნენ. ოსმალო ერთგვარ შოკში ჩავარდა. ტრაბზონელი მეგობრების, ჰალუკ ულუსოის და შენოლ გიუნეშის სკამები შეირყა. მედია და გულშემატკივრები ნოემბერშივე აუჯანყდნენ მწვრთნელ-პრეზიდენტს, მაგრამ მათ თავთავისი ადგილების შენარჩუნება დაპირებებით მოახერხეს — თურქეთის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატზე გავიყვანთო.*

*ჰალუკ ულუსოი გუშინწინ გაკადნიერდა და განაცხადა, რომ იგი კვლავ დარჩება პრეზიდენტის პოსტზე და მის ეპოქაში შენოლ გიუნეშის ხელით ოსმალები... 2006 წელს მსოფლიოს ჩემპიონები გახდებიან*



# სისხლისმაქცევლო
## გერმანია ჩვენია!
## ახალი თურქული ზღაპარი

ეს ულუსოიმ დანიასთან მარცხის შემდეგ თქვა. ადანაში დანიელებთან შენოლ გიუნეშმა გადახალისებული შემადგენლობა გაიყვანა და დამარცხდა. თურქთა ხოჯა ნაკრებში მცირე რევოლუციას აპირებს. ახალ ფეხბურთელებს ეძებს, რათა მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის ძლიერი გუნდი შექმნას. გუშინ შენოლ გიუნეშს სტამბოლში, სახლში დავუკავშირდით და მწვრთნელმაც სიტყვა არ დაგვამადლა.

— ადანაში გულშემატკივრებმა თქვენი გადადგომა მოითხოვეს. ხომ არ ნანობთ, რომ კორეა-იაპონიაში მიღწეული წარმატების შემდეგ პოსტიდან არ წახვედით?

— ნაკრები ძირითადად სტამბოლში თამაშობს. თურქეთი დიდია და ყველა ქალაქში ჩასვლას გუნდი ვერ მოახერხებს. ადანაში ნაკრებმა ბოლოს 12 წლის წინ ითამაშა და ჩვენი გალანძღვის ერთ-ერთი მიზეზიც სწორედ ეს გახლდათ. ისე კი, ქომაგთა გულისწყრომა გასაგებია, ლატვიამ გაგვაშიშვლა და პასუხისმგებლობას არ გავურბივარ, მაგრამ მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შემდეგაც მჯეროდა და ახლაც მჯერა, წარმატებას კიდევ მივაღწევთ. რაც შეეხება სინანულს, არ ვნანობ, რომ პოსტზე დავრჩი.

— ლატვიასთან მარცხის შემდეგაც არ გიფიქრიათ გადადგომაზე?

— ამ შემთხვევაში წასვლა დანებებას ნიშნავდა, მე კი დანებებას არ ვაპირებ, რადგან გუნდის პოტენციალის მწამს. ჰალუკ ულუსოიც მხარში მიდგას და ყველანაირად მეხმარება.

— თქვენ ჯერ კიდევ ევრო-2004-ის შესარჩევი ციკლის დაწყებამდე გიკიჟინებდნენ ნკრების გადახალისებას და ხომ არ დააგვიანეთ?

— კი ითხოვდნენ, მაგრამ მაშინ თურქეთში ნამდვილად არ მოიძებნებოდნენ იმ დონის ფეხბურთელები, რომლებიც ეროვნული გუნდის ღირსებას დაიცავდნენ, ამიტომ ეს პროცესი ახლა დავიწყეთ.

— მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი კარს მოგადგათ და გადახალისებას როგორ მოასწრებთ?

— მე რადიკალურ ცვლილებებს არ ვაპირებ. იმ ახალბედებიდან, დანიასთან საქმეში რომ ვნახე, შანსს ყველას მივცემ, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში საუკეთესონი მოხვდებიან.

— უკვე რამდენი ფეხბურთელი შეიგულეთ?

— ბიჭებმა ადანაში ძალიან მოინდომეს, მაგრამ ერთს, ჰამიტ ალტინტოპს გამოვყოფდი. იგი ნამდვილად მზადაა სანაკრებოდ, დანარჩენებს კი შრომა მოუწევთ.

— ანუ კვლავ ჰაკან შუქურის, ალფაი ოზალანის და ბიულენთ ქორქმაზის დარ გამოცდილებს დაეყრდნობით, მაგრამ შეძლებენ კი მათი ასაკის ფეხბურთელები კიდევ ერთი ციკლის მაღალ დონეზე ჩატარებას?

— შეუცვლელი არავინაა და ვინც ვერ შეძლებს, არ დავაძალებთ.

— რომელიმე ფეხბურთელმა თუ განაცხადა სანაკრებო კარიერის დასრულების თაობაზე?

— ასეთი მხოლოდ ერთია — თუგაი ქერიმოღლუ.

— თქვენი კონტრაქტი ფედერაციასთან როდის იწურება?

— ივლისში, მაგრამ წინასწარ შეთანხმებას უკვე მივაღწიეთ, რომ კონტრაქტს კიდევ ოთხი წლით გავარგძელებ.

— ზეგ ჩვენი ჯგუფის კალენდრის შესადგენად ისევ შეიკრიბებით. ძველ ვარიანტს გაიტანთ თუ შეცვალეთ რამე?

— კიევში ყური არავინ გვიგდო და დათმობას არ ვაპირებთ. თუ ვერ მოვრიგდით, ფიფა გადაწყვეტს.

— რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის, რომელ მეტოქეს შეხვდებით პირველ მატჩში?

— ჩემთვის ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს.

— დავუშვათ, შესარჩევ ეტაპზე ზედიზედ ორი მატჩი წააგეთ. გადადგებით?

— როგორ გეკადრებათ. რომელ წაგებაზე მეუბნებით, ჩვენ მხოლოდ მოგებაზე ვფიქრობთ და ასეც იქნება.

— რატომ ხართ ასე თავდაჯერებული? ფეხბურთში ხომ ყველაფერი ხდება.

— გუნდის და საკუთარი თავის რომ არ მწამდეს, უკვე წასული ვიქნებოდი.

— ჰალუკ ულუსოიმ თქვა, თურქეთის ნაკრები 2006-ში მსოფლიოს ჩემპიონი გახდებაო. თქვენ გჯერა რომ ეს ნამდვილად შესაძლებელია?

— წელან თავად ბრძანეთ, ფეხბურთში ყველაფერი ხდებაო და არც ესაა გამორიცხული. ჩვენი მიზანი მსოფლიოში პირველობაა.

— საქართველოს ნაკრებს უკრაინელ მწვრთნელ ანატოლი ბიშოვეცს აბარებენ. მის შესახებ თუ გსმენიათ?

— არ ვიცნობ, ისე კი, ცოტა უცნაურია. უკრაინა ხომ ჩვენს ჯგუფშია და რატომ მაინცდამაინც მეტოქის კაცი?

— მანამდე თქვენებური აგენტი ბაირამ თუთუმლუ ანრი მიშელს გვპირდებოდა, მაგრამ არ გამოვიდა. თუთუმლუს იცნობთ?

— დიახ, ძალიან კარგად. მიშელი ნამდვილად ძლიერი მწვრთნელია და სასიამოვნოა, რომ ფრანგის ვარიანტი ჩვენებურს არ გამოუვიდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ახალაიას დიაგნოზი: რუმინელი არ ახტა



*კვიპროსულ ტურნირზე მოჯახირე საქართველოს ნაკრებში მივლინებულ თბილისის დინამოელებს ლადო ახალაია დააკლდათ. მან რუმინეთის ნაკრებთან მატჩისას ხელი მოიტეხა. ისედაც შესუსტებული „დინამოსთვის“ მისი ტრავმა მართლაც დიდი დანაკლისი იქნება*

— ლადო, ხელის მოტეხვამ ადრეც საკმაოდ გაგაცდენინა. ისევ მარჯვენა ხელი დაიზიანე?

— მადლობა ღმერთს, არა. ისევ მარჯვენა რომ ყოფილიყო, ალბათ თვენახევარი ვერ ვივარჯიშებდი. ახლა არა მგონია, დიდი ხანი ვიყო უქმად. თბილისში ჩამოვალ, ერთი კვირა კიდევ ვიქნები თაბაშირით და მოვიხსნი. ამის მერე, ვფიქრობ, ვარჯიშსაც შევძლებ. ყოველ შემთხვევაში, მსუბუქად მაინც. ექიმების თქმით, გუნდს მარტის დასაწყისში უნდა დავუბრუნდე.

— როგორ დაშავდი, რა ეპიზოდში?

— წვიმდა და მოედანი წყლით იყო გაჟღენთილი. მე „პადკატი“ გავაკეთე. მოედნის სისველე ველარ გავითვალისწინე და ზედმეტად გავსრიალდი. ამ დროს რუმინელთა მცველმა ფეხი დამაბიჯა და საშინელი ტკივილი ვიგრძენი.

— დარასელიამ გვითხრა, განგებ დააბიჯესო...

— თავს ვერ დავდებ, მაგრამ ამას კი ჰგავდა. ყოველ შემთხვევაში, მცველს შეეძლო ფეხი აეწია, ან სულაც ამხტარიყო.

**დავით ერაძე**

*დაახლოებით ერთი თვის წინ პოლონური „ამიკას“ ქართველმა ნახევარმცველმა მამია ჯიქიამ კლუბის პატრონებს პირდაპირ განუცხადა — თუ გუნდის ოთხ ლიდერს კონტრაქტს არ გაუგრძელებთ და გაუშვებთ, ჩემი იმედიც არ გქონდეთო.*

*ჯიქიას „ულტიმატუმის“ ვადა 20 თებერვალს ამოიწურა. ჰოდა, გუშინ „ამიკას“ ხელმძღვანელობა ქართველ ფეხბურთელს შეხვდა და ახალი კონტრაქტი შესთავაზა...*

# ჯიქია ამიკას გაუჯიქდა

## ბურთიანი მუშკეტერები

— კონტრაქტს არ გავაგრძელებ. ხელმძღვანელობას უარი ვუთხარი და ვნახოთ, ახლა რას იზამენ. ყოველ შემთხვევაში, 99 პროცენტით გადაწყვეტილი მაქვს, რომ „ამიკაში“ არ გავჩერდები — გვითხრა გუშინ მამია ჯიქიამ.

ჩვენებური „ამიკას“ სავარაუდოდ ზაფხულში გაეყრება, როცა თავისუფალი აგენტი გახდება. მასთან ერთად დატოვებს კლუბს „ის“ ოთხეულიც.

— ასეთი პირობები ჩემთვის მიუღებელია. თუ ჩემპიონატის განახლებამდე ახალი, გაუმჯობესებული პირობები შემომთავაზეს, მაშინ დარჩენაზეც ვიფიქრებ, თუმც არა მგონია, ასე მოხდეს. გადაწყვეტილი მაქვს „ამიკადან“ წასვლა და ალბათ ასეც მოხდება — ესეც ჯიქიას სიტყვებია.

ქართველ ფეხბურთელს სხვა კლუბებისგან წინადადებები ჯერ არ მიუღია, მაგრამ დარწმუნებულია, რომ უგუნდოდ არ დარჩება. მანამდე კი:

— 24 თებერვალს ესპანეთში მივდივართ შეკრებაზე. ზაფხულამდე ამ გუნდში ძველებურად ვითამაშებ, მერე კი ჩემ გზას ვეწევი. არა მგონია, ამ ყველაფრის გამო მეორე წრეში უთამაშებლად დამტოვონ. რაღაც პრობლემებს ალბათ კი შემიქმნიან, მაგრამ სათადარიგოთა სკამზე ვერ დამსვამენ. ეგრე ის ოთხეულიც თუ არ ათამაშეს, მაშინ ყველა მატჩს წააგებენ და ამით რა ხეირი? ერთი სიტყვით, ეს ამბავი უკვე ნაკლებად მაღელვებს — გვითხრა ჯიქიამ.



შეგახსენებთ, რომ პოლონეთის ჩემპიონატის მეორე წრე 13 მარტს დაიწყება.

**კახა ზალამბერიძე**

# მუჯირმა ირანს ვარდები გამოუწერა

## ჩემპიონს ლიგა თბილ ქვეყნებში

*ჩემპიონთა ლიგა ევროპაში დამდეგ კვირას განახლდება, აზიაში კი უკვე დაიწყო.*

*ირანის ჩემპიონმა ისპაჰანის „სეპაჰანმა“ პირველი მატჩი შინ გამართა უზბეკეთის „ნეფთჩისთან“ და სპარსელთა ჩვენებურმა მცველმა ჯაბა მუჯირმაც მოედანზე 90 წუთი დაჰყო*



— უზბეკებს 4:0 მოვუგეთ. ინტერესი ამ მატჩისადმი ძალიან დიდი იყო და სტადიონზე დაახლოებით 40 ათასი კაცი მოვიდა.

— ჯგუფში მომდევნო შეხვედრა ვისთან გიწევთ?

— ქუვეითის ჩემპიონთან, რომელიც „ნეფთჩიზე“ ძლიერი გუნდი უნდა იყოს. უზბეკები კი დაახლოებით რუსულ ფეხბურთს თამაშობენ, ბევრს დარბოდნენ, მაგრამ ვაჯობეთ.

— ევროპულ ჩემპიონთა ლიგის დარად, აზიაშიც თითოეულ მოგებულ მატჩზე კლუბი გარკვეულ თანხას იღებს?

— ეგ ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ის კია, რომ „სეპაჰანის“ ხელმძღვანელობა ამ ტურნირს ძალიან სერიოზულად ეკიდება, უფრო სერიოზულად, ვიდრე ირანის ჩემპიონატს.

— სპარსულ ლიგაში ახლა შესვენებაა?

— გუნდებს მოსამზადებელი პერიოდი აქვთ, სეზონი მარტში განახლდება.

— ირანში პოლიტიკური სიტუაცია ამ ცოტა ხნის წინ ერთობ დაიძაბა...

— უბრალოდ, ოპოზიციამ ხმა აიმაღლა. აქაურები ამბობენ, 10-15 წელი კიდევ არაფერი შეიცვლებაო. აქაურობას „ვარდების რევოლუციის“ მსგავსი რამ თუ შეცვლის.

**დავით თავართქილაძე**



გიორგი დეკანოსიძე

# ვიტ ჯორჯიამ თურქეთი ყაზახეთით დაამთავრა

**ანთალიაში** შეკრებაზე მყოფმა თბილისის „ვიტ ჯორჯიამ“ მორიგი საკონტროლო მატჩები გამართა. ვიტელთა მეტოქე ჯერ რუსეთის პირველი ლიგის „ბალტიკა“ იყო. შეხვედრა ჩვენებურებმა 1:0 მოიგეს.

„ვიტ ჯორჯიაში“ გვითხრეს, რომ ვიტელები მთელი მატჩის განმავლობაში დიდ უპირატესობას ფლობდნენ და არაერთი საგოლე მომენტიც შექმნეს, თუმც ოდენ გიორგი დეკანოსიძემ მოახერხა გატანა — მან მე-4 წუთზე საჯარიმო დარტყმით იხეირა.

ზურაბ ბერიძემ გუნდი ასეთი შემადგენლობით ათამაშა: *მერლანი, ვ. გოჩაშვილი, ლ. მერებაშვილი, იმედაშვილი (კვახაძე) გველესიანი, ლ. ნოზაძე, დათუნაიშვილი, ი. შენგელია, დეკანოსიძე, გოცირიძე (ებანოიძე), ადამია (მარცვალაძე).*

ვიტელებმა მომდევნო, ანთალიური შეკრების ბოლო მატჩი გუშინ ითამაშეს ყაზახეთის უმაღლესი ლიგის ერთ-ერთ გუნდთან. „ვიტ ჯორჯიამ“ ფაქტობრივად მეორე შემადგენლობით ითამაშა და 1:1. თბილისელთაგან გოლი მეორე ტაიმში შესულმა ლაშა ნოზაძემ გაიტანა. „ვიტ ჯორჯია“ შინ დღეს დაბრუნდება.

**დავით თავართქილაძე**

# დე, იფრიალონ კუთხურის ალმებმა

**გუშინ** საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში სტუმრიანობა იყო. ფედერალებს გაეროს ბავშვთა ფონდ იუნისეფის თბილისური ორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის პროგრამის ხელმძღვანელი მაია ქურციკიძე ეწვია, რომელიც იუნისეფფიფას ერთობლივ პროექტსაც კურირებს. პროექტის მიზანი ბავშვთა ფეხბურთის განვითარებაა.

მაია ქურციკიძე ფედერაციაში საფეხბურთო სკოლების წარმომადგენლებს შეხვდა და პროექტით გათვალისწინებული ინვენტარი გადასცა. სამოყვარულო და პროფესიული ბურთები, კუთხურის ალმები, წამმზომები, ტრუს-მაისურები და სხვა წვრილმანი ატრიბუტიკა — ასეთია იუნისეფფიფას საჩუქარი ქართველი ბავშვებისთვის.

ფედერაციის წარმომადგენლებს განზრახული აქვთ, ინვენტარის ნაწილი უპატრონო ბავშვთა სახლებსაც დაურიგონ.

ასეთ პროგრამაში საქართველო ოფიციალურად გუშინ ჩაერთო, სხვა ქვეყნებში კი ეს პროგრამა კარგა ხანია, ამოქმედებულია. საინტერესოა, რომ იუნისეფის ელჩები ამ საქმეში მსოფლიოს მეგავარსკვლავები — ლუიშ ფიგუ, დევიდ ბექემი, რაული, ხუან სებასტიან ვერონი და პაოლო მალდინი არიან...

**ლუკა თალაკვაძე**

# გქებიკამ დაინახა და გაუშვა

ტრავმამოშუშებულმა ოთარ ხიზანეიშვილმა გუშინ მეორე მატჩი ჩაატარა გერმანიაში შეკრებაზე მყოფ მოსკოვის „დინამოს“ შემადგენლობაში. პირველი საკონტროლო ხიზანეიშვილს „როტ ვაისთან“ (2:1) ჰქონდა. გუშინ კი მოსკოველებმა მეორე შემადგენლობა გაუყვანეს სამოყვარულო „ჰუსპოპეტერსშეუტესთან“. ოთარმა სტაბილურად ითამაშა გერმანელ მოყვარულებთან, მისმა გუნდმა კი 3:0 დაამარცხა მეტოქე. აქვე ისიც ვთქვათ, რომ დინამოელთა ჩეხი თავკაცი გქებიკი პანტაპუნტით ცხრილავს გუნდს გერმანულ შეკრებაზე. გუშინდელი მატჩის შემდეგ მწვრთნელმა მანამდე გაშვებულ ოთხ ფეხბურთელს ტოჩილინი და ნესინი დაუმატა. პირველი მოსკოვში მყოფ დუბლიორებს შეუერთდა, ნესინი კი მოყვარულებთან მატჩის მეშვიდე წუთზე შეცვალა გქებიკმა და საერთოდ გაუშვა გუნდიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*თურქმენეთის პრეზიდენტის თასის ფინალში დამარცხებით იმედგაცრუებული ქუთაისის „ტორპედო" გუშინ შინ დაბრუნდა. მასპინძელ „ნისასთან" მატჩის მიწურულს დაკარგულ ჩემპიონობას ქუთათურები თავიდან კი აღუშფოთებია, მაგრამ... ვიცოდი, რომ ხმაურის ატეხვას აზრი არ ჰქონდა, ყველაფერი ზუსტად ისე უნდა მომხდარიყო, აბა, პრეზიდენტს ხომ არ აწყენინებდნენო, გვითხრა გუშინ „ტორპედოს" თავკაცმა ოთარ გაბელიამ.*

*ერთი სიტყვით, რიონისპირელებმა სამი წლის წინანდელი წარმატება ვერ გაიმეორეს და თასი აშხაბადში დატოვეს...*

*ოთარ გაბელიასგან პასუხები სხვა კითხვებზეც მივიღეთ*

# გაბელია ნიაზოვს აღარ გაუბრაზდა

— კარგი ტურნირი იყო, მაგრამ მსაჯებმა ყველაფერი გააფუჭეს. მონაწილე გუნდებიც არ იყვნენ ხელწამოსაკრავნი: უკრაინული „ვორსკლა", მოსკოვის „ლოკომოტივი", „ნისა", რომელშიც თურქმენეთის ნაკრების ხუთი ფეხბურთელი თამაშობს...

**— „ტორპედოს" თამაშით კმაყოფილი ხართ?**

— ამ ეტაპზე სასაყვედურო ნაღდად არ მეთქმის. მთელმა გუნდმა ნორმალურად ითამაშა.

**— ირანულ „აბუმუსლიმთან" მარცხი საკმაოდ მოულოდნელი იყო...**

— ფინალში ვიყავით და ირანელებთან ძირითადი შემადგენლობით არ გვითამაშია, ახალგაზრდებს მივეცი თავის გამოჩენის შანსი.

**— თქვენი ემოციურობა საქვეყნოდ ცნობილია. ფინალში მსაჯობაზეც იფეთქებდით...**

— არარსებული პენალტები რომ დაგვიდეს, მართლა საშინლად აღვშფოთდი, მაგრამ მალევე დავწყნარდი, არ ღირდა. თან ფინალში გაგა ჩხეტიანი ტრავმირებული იყო, დავით გამეზარდაშვილი კი ყვითელი ბარათების გამო დაგვაკლდა. თუმც, რომც ეთამაშათ, მაინც წავაგებდით. მასპინძლებმა მოსკოვის „ლოკომოტივიც" ასე დაჩაგრეს ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩში — ბოლო წუთზე „ნისას" პენალტი დაუნიშნეს. ჩემი ემოციებიც ამან ჩააცხრო, ისედაც ხომ ვიცოდი, რა გველოდა. ფინალის შემდეგ ყველამ აღიარა, რომ კარგი გუნდი გვყავდა და ჩემპიონობას ვიმსახურებდით, მაგრამ ამას უკვე რა აზრის აქვს. პრეზიდენტს ხომ არ აწყენინებდნენ? მატჩის შემდეგ ნიაზოვს დაბადების დღეც მივულოცე და „ნისას" გამარჯვებაც.

**— ხელოვნურ საფარზე თამაში ალლო იოლად აუღეთ?**

— რთული კი იყო, მაგრამ განსაკუთრებული პრობლემები არ შეგვქმნია. ეს ტურნირი აშხაბადის ახალაშენებულ სტადიონზე უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ იქ ბალახის საფარის დაგება ვერ მოასწრეს და...

**— თვლით, რომ ჩემპიონატისთვის კარგად მოემზადეთ?**

— ნორმალურად. ამჟამად ბიჭების მდგომარეობა ჩემთვის დამაკმაყოფილებელია.

**— ვის გამოარჩევთ გუნდიდან და ვინ გაგიცრუათ იმედი?**

— გამორჩევას მოვერიდები. ზოგმა მართლა კარგად ითამაშა, ზოგისაც უკმაყოფილო ვარ.

**— „ტორპედოს" ძველი სახე მნიშვნელოვნად შეიცვლება?**

— ვნახოთ... მე 3-5-2 სქემის მიმდევარი ვარ, მაგრამ მეტოქესაც ხომ გააჩნია, მაგალითად, თურქმენეთში პირველ მატჩში 4-5-1-ით ვითამაშეთ. რაღაც ცვლილებები იქნება. აქამდე ნახევარმცველი გამეზარდაშვილი ახლა ცენტრალური მცველია და საკმაოდ კარგადაც გამოიყურება. ასე რომ, ვნახოთ...

**— ახალწვეულები როგორ შეეწყვნენ გუნდს?**

— კარგად. პრობლემა არ ყოფილა. თანდათან კიდევ უფრო შევთამაშდებით.

**— ჩემპიონატის განახლებამდე ამხანაგურ მატჩს ითამაშებთ?**

— არა მგონია. ქუთაისში დღეს ჩამოვედით, უახლოეს დღეებში ალბათ ორმხრივი თამაშით დავკმაყოფილდებით. შესაძლოა, „ტოპერდო 2"-საც ვეთამაშოთ.

**ბაჩა შალამბერიძე**




# მონდომება და, ბრაზილია არც ისე შორსაა



ივო შუშკე, დინამოელები და გია ფირცხალავა

## გია ფირცხალავას ნაღვლის გუნდი

*თბილისის „დინამოში" დიდი ცვლილებები ეგრეთ წოდებული საკადრო რეორგანიზაციით დაიწყო და ახლაც გრძელდება გუნდიდან ესენვეს თასის მომგები შემადგენლობის წასვლით. ამისულაშვილი, ალექსიძე, დარასელია სხვა კლუბების საკუთრებად იქცნენ. საქმეს ისეთი პირი უჩანს, შესაძლოა, „დინამომ" ვერც კვირკველიასა და შაშიაშვილის შენარჩუნება შეძლოს. რომ არა ბურდულის ტრავმა, ისიც აუცილებლად მონახავდა ახალ კლუბს. „დინამოს" ქომაგობა კი გაღონიერებულ, ჩემპიონთა ლიგაში შემღწევ გუნდზე ოცნებობდა. ეს საქმე თავის დროზე „დინამოს" აღმასრულებელმა დირექტორმა გია ფირცხალავამ წამოიწყო და კლუბში უმალ გამოჩნდნენ გვარამაძე, გოგობერიშვილი, ანჩაბაძე. ბრაზილიელი კარლოსიც ამ პერიოდში შეუერთდა კლუბს და ბოლოს ყოველივე რატი ალექსიძის შეძენით დასრულდა. ვიტალი დარასელიას კი ისეთი კონტრაქტი შესთავაზეს, წასვლაზე არც უფიქრია*

დღეს საკლუბო განვითარების იმ სამწლიან გეგმას ნაღვლიანად იხსენებს გია ფირცხალავა, რომელიც საფეხბურთო სამყაროს არ დაშორებია და ეგებ მისი სამომავლო სამსახურით კიდევ არაერთმა ქართულმა კლუბმაც იხეიროს.

— „დინამოდან" წამოსვლის მიზეზები დღესაც ვერ ამიხსნია. ერთში კი ნამდვილად დარწმუნებული ვარ, კლუბიდან პირნათელი წამოვედი. რასაც „დინამოს" მესვეურებს შევპირდი, შევასრულე. სასწაულმოქმედი ნამდვილად არ ვიყავი, რომ წელიწადნახევარში მეტი გამეკეთებინა. რაც მთავარია, ფეხბურთელები კმაყოფილნი იყვნენ და გუნდიდან გაქცევაზე არ ფიქრობდნენ. კლუბის განვითარების სამწლიანი გეგმა უკვე გადამწყვეტ ფაზაში შედიოდა.

**— რას გულისხმობთ გადამწყვეტ ფაზაში?**

— როდესაც ბრაზილიელმა პარტნიორებმა დაინახეს, რომ სერიოზულად ვიყავით დაინტერესებული მათთან ურთიერთობით, ძალიან თბილი და საქმიანი დამოკიდებულება დამყარდა. ჩვენ გვსურდა, ახალგაზრდა ფეხბურთელების გაცვლის პროგრამა შეგვემუშავებინა, მოსამზადებელი ეტაპი ბრაზილიაში გაგვევლო, მონაწილეობა მიგვეღო პრესტიჟულ ბრაზილიურ ტურნირებში. ბოლოს, საჭიროების შემთხვევაში, როდესაც რეალურად დადგებოდა „დინამოს" ჩემპიონთა ლიგაში თამაშის საკითხი, ბრაზილიური მხარე ჩვენთვის საჭირო ფეხბურთელებით გაგვაძლიერებდა. თანაც არსებობს ერთი პრინციპული მომენტი: ბრაზილიური საფეხბურთო ბაზარი საკმაოდ ხელმისაწვდომი და მაღალხარისხიანია.

**— რომელ კლუბებთან გქონდათ საქმიანი შეხვედრები?**

— „ატლეტიკო პარანენსე" და „კურიტიბა". ეს კლუბები ბრაზილიაში საკმაოდ ანგარიშგასაწევად ითვლებიან, პირველ რიგში თავიანთი ინფრასტრუქტურით. მე მოხიბლული დავრჩი იმ საუცხოო პირობებით, რომლებიც ამ კლუბებში იყო შექმნილი. დამერწმუნეთ, ბევრ ევროპულ კლუბსაც არ ექნება მსგავსი პირობები. ამან რადიკალურად შეცვალა ჩემი წარმოდგენა ბრაზილიურ ფეხბურთზე. მათ ისე არ უჭირთ, როგორც ჩვენში წარმოუდგენიათ.

**— მაშ, რითაა განპირობებული ბრაზილიელთა ასეთი მიგრაცია ევროპაში და, რაც მთავარია, მათი იმდენად დაბალი ფასი, რომელსაც არცთუ მდიდარ ქვეყნებშიც კი იხდიან?**

— ბრაზილია და ფეხბურთი ერთი ცნებაა. იქ ყველა თუ არა, ყოველი მეორე ფეხბურთს თამაშობს, თანაც საკმაოდ მაღალ დონეზე. ფაქტობრივად, ყველა კლუბს ერთ პოზიციაზე ჰყავს 4-5 ისეთი ფეხბურთელი, რომელიც ძირითადში ვერ ხვდება, მაგრამ თამაში შეუძლია, თანაც, როგორც წესი, ასეთები საკმაოდ ახალგაზრდები არიან, რაც ევროპელთა დიდ ინტერესს იწვევს. მოკლედ, უდიდესი კონკურენცია და ფეხბურთელთა სიმრავლე განაპირობებს კიდეც სიიაფეს.

**— ცოტა არ იყოს, უცნაურია, დიდი მიზნების მქონე „დინამომ" რატომ თქვა უარი ასეთ საინტერესო წინადადებაზე?**

— სიმართლე გითხრათ, ეს დღესაც ვერ ამიხსნია. უბრალოდ, საწყენია, რომ კლუბში მაღალი დონის ბრაზილიელი ფეხბურთელების მოწვევის რეალური ვარიანტი დაიკარგა.

**— თქვენ როგორ გახვედით ბრაზილიურ არხზე?**

— ბრაზილიაში უკვე დიდი ხანია, საქმიანობს ჩემი ახალგაზრდობის მეგობარი გოჩა ალადაშვილი. მან „ატლეტიკო პარანენსეს" და „კურიტიბას" პრეზიდენტებთან შეხვედრების ორგანიზებაც შეძლო და ამ ურთიერთობის დაწყებას ჩვენი მხრიდან ხელმოწერაღა აკლდა.

**— მომავალში ალბათ საკუთარი გზებით გააგრძელებთ ბრაზილიურ მხარესთან ურთიერთობას. რამდენად რეალურად გესახებათ თქვენი პროექტებით სხვა ქართული კლუბების დაინტერესების პერსპექტივა?**

— სხვათა შორის, არის გარკვეული წინადადებები და შემოთავაზებები, რომელთაც ახლა არ დავაკონკრეტებ, არც ის მინდა, ვინმემ ის იფიქროს, რაც არ არის: თითქოსდა გია ფირცხალავა აგენტი გახდა და ფეხბურთელების ყიდვა-გაყიდვა დაიწყო. უბრალოდ, ჩემი ნაცნობობით და კავშირებით შემიძლია, ქართულ კლუბებს სათანადო ფეხბურთელების ყიდვაშიც დავეხმარო და შეკრებების, მოსამზადებელი ეტაპების ორგანიზებაშიც. საკმაო საქმიანი კავშირები დავამყარე ბრაზილიის საფეხბურთო წრეებში ავტორიტეტიან ხალხთან.

**— თქვენი მეგობარია ახრიკ ცვეიბა, რომელიც რუსულ და უკრაინულ საფეხბურთო ბაზარზე საქმიანობს. მასთან ერთად ხომ არ გეგმავთ საერთო პროექტების განხორციელებას?**

— ცვეიბას მოსკოვში, ესენგეს თასზე შევხვდი, მან პოსტსაბჭოური სივრცის ფეხბურთში მოტრიალე ბევრ მნიშვნელოვან ადამიანს შემახვედრა. ყველას ეუბნებოდა, რომ იმ „დინამოს" მშენებლობაში, რომელმაც მოსკოვში ფურორი მოახდინა, ჩემი წილიც იყო. ტურნირის შემდეგ კი დინამოელები და ივო შუშკი მოვინახულე და გამარჯვება მივულოცე. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ შუშკის ჩამოყვანით „დინამოს" დიდი სამსახური გავუწიე. მან გუნდს საკუთარი ხელწერა შესძინა. მის მაღალ სამწვრთნელო კვალიფიკაციას რუსებიც აღნიშნავდნენ.

**დავით ერაძე**

# ისიამოვნეთ 2007 წლამდე

## ზიდანის გონება მადრიდში დარჩა

*ფიფას ვერსიით 2003 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი ზინედინ ზიდანი მადრიდის „რეალში“ 2007 წლამდე დარჩება.*



„კმაყოფილი ვარ, — განაცხადა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა — კონტრაქტის გაგრძელება გახლდათ ის, რაც კლუბსაც სურდა და მეც. ჩემთვის ყველაფერზე მნიშვნელოვანი ფეხბურთის თამაშია, ხოლო ფეხბურთის აქ, „რეალში“ თამაში ჩემთვის განსაკუთრებული სიამოვნებაა“.

„სამეფო კლუბის“ სპორტული დირექტორის, ხორხე ვალდანოს თქმით, ზიდანის კონტრაქტის ადრინდელთან შედარებით კიდევ ორი წლით გახანგრძლივება იმის დასტურია, რომ მადრიდში ტიტულოვან ფრანგ ფეხბურთელთან სამომავლოდ სერიოზულ თანამშრომლობაზე ფიქრობენ.

„ჩვენ ვიფიქრეთ, რომ ზიდანთან კონტრაქტის კიდევ ორი წლით გაზრდა „რეალის“ სტაბილურობასაც უზრუნველყოფს და გარდა ამისა, ზიზუს თამაშის ხილვის სიამოვნებას გაგვიხანგრძლივებს“.

შემდეგ ვალდანომ დასძინა, ის ფაქტი, რომ კონტრაქტით გათვალისწინებული დროის ბოლოს ზიდანი უკვე 35 წლის იქნება, ჩემს შეშფოთებას სულ არ იწვევსო.

„მისი თამაში ტექნიკაზე და გონებაზეა დაფუძნებული, ამიტომ მწამს, ასაკის მიუხედავად ზიზუ უმაღლესი საშეჯიბრო ხარისხის ფეხბურთს ითამაშებს“ — თქვა ვალდანომ.

ზიდანისა და მადრიდული კლუბის ურთიერთობა კი იმით დაიწყო, რომ ფრანგთა მიერ 1998 წელს მსოფლიოს ჩემპიონობისა და 2000 წელს ევროპის ჩემპიონის ტიტულების მოპოვების შემდეგ „რეალის“ პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა თავისი კლუბის ასწლიანი იუბილესთვის ზინედინის შეძენა ამოიჭრა გულში. მოლაპარაკებები, უნდა ითქვას, რომ საკმაოდ გაიწელა, მაგრამ გაქნილმა პერესმა საბოლოოდ მოახერხა ფრანგი ვარსკვლავის „იუვენტუსიდან“ 66 მილიონ დოლარად გადაყვანა. ეს 2001 წლის ივლისში მოხდა, რის შემდეგაც, შემოდგომაზე შეჯიბრება გახურდა და გაირკვა, რომ უამრავი ტიტულის მომხვეჭ ადამიანს ახალ კლუბთან მყისიერი შეწყობა უჭირს.

მაგრამ გავიდა ორიოდ თვე და ზინედინ ზიდანი, როგორც მოსალოდნელი იყო, ვისენტე დელ ბოსკეს დიადი გუნდის ერთ-ერთი და შესაძლოა, ყველაზე ცენტრალური ფიგურაც გახდა.

გავიხსენოთ ეგრეთ წოდებული „ჰაილაითებიც“: გოლი ჩემპიონთა ლიგის ფინალში გლაზგოს „ჰემპდენ პარკზე“ ლევერკუზენის „ბაიერის“ კარში, როდესაც „რეალმა“ მეცხრედ მოიპოვა ჩემპიონთა თასი (2:1), დიდებული თამაშები საკუთრივ ესპანეთის ჩემპიონატის შეხვედრებში... და ყოველივეს ჯამში იგი „რეალის“ ერთ-ერთი უდიდესი წევრი გახდა, როგორც მოედანზე, ასევე მის გარეთ.

ზიზუ 31 წლისაა და „რეალში“, სადაც დიდი შემტევი ვარსკვლავები თამაშობენ, გასული სეზონის მაჩვენებლით გოლების გატანაშიც კი მეორე იყო.

და, როგორც დასაწყისში მოგახსენეთ, გასულ დეკემბერს იგი 2003 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის წოდებით დააჯილდოვეს — ეს ჯილდო ზიდანმა კარიერაში მესამედ (!) მიიღო.

**პაპუნა ქედია**



ჩემპიონთა ლიგის 2002 წლის ფინალი. ზინედინ ზიდანის ჯადო-გოლი

# უკან მომავალში

## როი კინის ნაკრებში ბრუნდება

„მანჩესტერ იუნაიტედის“ კაპიტანმა როი კინმა თქვა, რომ სიხარულით დაბრუნდება ირლანდიის ნაკრებში, თუკი მას მიიწვევენ.

კინს, რომელიც ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატზე კორეიდან გამოამგზავრეს შინ მენეჯერ მიკ მაკარტისთან კონფლიქტის გამო და ამას საერთო ეროვნული სკანდალი მოჰყვა ირლანდიაში, არაფერი აქვს ახალი თავკაცის, ბრაიან კერის საწინაალმდეგო.

„რაღაც ყოველთვის ამბობდა ჩემში, რომ ეს დაუმთავრებელი საქმეა — განმარტა კინმა — არ მგონია, რომ ჩემი დაბრუნება ჩემზე იყოს დამოკიდებული, ეს მისტერ კერის გადასაწყვეტია“.

როგორც კი მენეჯერად დაინიშნა, კერმა მაშინვე შესთავაზა კინს ნაკრებში დაბრუნდა, მაგრამ როიმ მაშინ იუარა, მხოლოდ კლუბს თულა გავწვდებიო.

ახლა კი კინმა თქვა: „ყოველთვის მენატრებოდა ნაკრების ფეხბურთი. ახლა ვგრძნობ, რომ მონატრების გარდა, მჭირდება კიდეც“.

თავის დროზე, მაკარტისთან კონფლიქტისას კინს უთანხმოება მოუხდა ნაკრების სხვა ბობოლა მოთამაშეებთანაც, რაც დაწვრილებით აღწერა თავის ავტობიოგრაფიაში. ამიტომ: „მათ ალბათ წყენა შერჩათ. ამიტომაც, ჩემი მიწვევა ნაკრებში იოლი ნაბიჯი არ იქნება“.

კინის ეს განცხადება მოჰყვა ირლანდიელთაგან ბრაზილიელებთან ნათამაშევ უგოლო ამხანაგურ მატჩს, რომლის მოგებაც ირლანდიას შეეძლო რობი კინსა და სტივ კარს უფრო ზუსტად რომ დაერტყათ.

„კერი სწორად მართავს საქმეს, რასაც მაკარტიზე ვერ ვიტყოდი“ — დაასკვნა ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა.

**ირაკლი გამყრელიძე**



# ბექემი სამამლეში ჩააბარეს



„ტოტენჰემმა“ ბექემი ისე გადაიბირა, რომ ერთი პენსიც არ გადაუხდია. ბრუკლინ ბექემს მამამ ხელი ხელში ჩაჰკიდა და ჩრდილოლონდონური კლუბის ბავშვთა საფეხბურთო სკოლაში ამ კვირის დასაწყისში მიიყვანა. ბავშვი ახლა ვარჯიშზე დედა ვიქტორიას დაჰყავს.

ბრუკლინი „ტოტენჰემის“ დახურულ დარბაზში ბურთაობს, მაგრამ სკოლის სრულუფლებიანი მოსწავლე ჯერ ვერ გახდება, რადგან ოდენ ოთხი წლისაა, თუმც მამამისის შვილისთვის გამონაკლისი დაუშვეს და 6 წლის ბიჭებთან ერთად ავარჯიშებენ.

პატარა ბექემის „ტოტენჰემში“ მიბარების ამბავი ჟურნალისტებმა რომ შეიტყვეს, უმალ ჩრდილოლონდონური კლუბის დახურულ დარბაზს მიაწყდნენ და, როგორც ამბობენ, ბრუკლინი მამასავით ნიჭიერია. გასარკვევი მხოლოდ ისაა, თუ რომელ პოზიციაზე ითამაშებს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# 5000 ევრო იმას...

## ბაიერნში რეალის ხსენებაც აკრძალეს

„რეალი“, „რეალმა“, „რეალს“, „რეალის“, „რეალით“, „რეალად“, „რეალო“ — თქვენ რომ მიუნხენის „ბაიერის“ ფეხბურთელი იყოთ, და ეს გეთქვათ, 35 ათასი ევროთი შეგითხელდებოდათ ჯიბე. მიუნხენელთა უფროსობას ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში თავისი მომავალი მეტოქის ხსენება ისე მობეზრებია და აღიზიანებს, რომ ფეხბურთელები გააფრთხილა — „რეალის“ ყოველ ხსენებაზე ჯარიმა 5 ათასი ევრო არისო.



მიხაელ ბალაკი და ბაიერნელები რეალზე ლაპარაკს ვერ ბედავენ

ამგვარი სანქციის შემოღების მერე ფეხბურთელები სხვადასხვაგვარად ცდილობენ კანონის გვერდის ავლას. მაგალითად, როი მაკაიმ ინტერვიუში ასე თქვა: „მოუთმენლად ველოდები ესპანურ გუნდთან შეხვედრას, რომელსაც თეთრი ფორმა აცვია.“

ოლივერ კანი კი ასე მოიქცა: „ერთი სული მაქვს, კეირუშის ბიჭებს როდის შევხვდები.“

საინტერესოა, ფეხბურთელებს იმ შემთხვევაშიც დააჯარიმებენ, რომელიმემ რომ თქვას, „რეალის“ დედაც...

**კოტე ქექელია**

Copa Toyota Libertadores '2004

**ლიბერტადორესის თასი 2004. ჯგუფური ეტაპი**

ლიბერტადორესის თასი 2004

I ჯგუფი. II ტური

**სთრონგესტი (ბოლივია) 0:0 ამერიკა (მექსიკა)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერიკა (მექსიკა) | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| სან კაეტანო (ბრაზილია) | 1 | 1 | 0 | 0 | 4:2 | 3 |
| სთრონგესტი (ბოლივია) | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| პენიაროლი (ურუგვაი) | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |

II ჯგუფი. I ტური

**ონსე კალდასი (კოლუმბია) 3:0 ფენიქსი (ურუგვაი)**

**1:0, 2:0 ვალენტიერა (15პ, 63პ), 3:0 ჯ. დიასი (88)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ონსე კალდასი (კოლუმბია) | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| მარაკაიბო (ვენესუელა) | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ველეს სარსფილდი (არგენტინა) | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ფენიქსი (ურუგვაი) | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

**პორტუგალია**

თასის ნახევარფინალის წილისყრა

**ბენფიკა — ბელენენსეში; ბრაგა — პორტუ**

**მატჩები გაიმართება 17 მარტს**

*გუშინ კატალონიურ MINI ESTADI-ზე ერთმანეთს იქაურთა ლეგენდარული „დრიმ თიმი“ (90-იანების „ბარსელონა“) და ასევე ვეტერანთაგან შემდგარი მსოფლიოს ნაკრები დაუპირისპირდნენ.*

# შეხვედრა წარსულთან
## კრუიფმა ბარსელონა 80 წუთით დაიბრუნა

თამაში საინტერესოდ წარიმართა და მასპინძელთა გამარჯვებით — 5:0 დასრულდა. ძველჩაუქმა ბიჭებმა ხეირიანად იბურთავეს და პატარა სტადიონის მცირერიცხოვანი ქომაგობაც მე-20 საუკუნის მიწურულის ლამაზი ფეხბურთით დატკბა. „ბარსას“ მწვრთნელი, ისევე როგორც ძველ დროს, დიდი იოჰან კრუიფი გახლდათ, ხოლო მსოფლიო ნაკრებისა — გამოჩენილი პირინეელი სპეციალისტი ხავიერ კლემენტე. ტაიმები 40 წუთი გაგრძელდა, გოლები კი ხულიო სალინასის (2) გოიკოეჩეას, პიანიასა და ონესიმოს ანგარიშზეა.

ჟურნალისტმა ვეტერანთა შერკინება წარსულთან 80-წუთიან ტკბილ შეხვედრად მონათლა და მაესტრო კრუიფს მატჩის გასარჩევად მიაკითხა.

„ფეხბურთელებმა სასიამოვნოდ გამაკვირვეს. მოედანზე თითქმის ისევე სწრაფად მოძრაობდნენ, როგორც 10 წლის წინ. ყოფილი შეგირდებით ძალიან კმაყოფილი ვარ“ — განაცხადა ჰოლანდიელმა.

მადრიდული „ასის“ კორესპონდენტმა ხელსაყრელი შემთხვევა ხელიდან არ გაუშვა და კრუიფს თანამედროვე მადრიდის „რეალის“ გარდასული ეპოქის „ბარსასთან“ შედარება სთხოვა. დიდმა დამრიგებელმა კასტილიური გრანდის ფანატებს უტაქტობა უსაყვედურა: „დღევანდელი „რეალისა“ და ჩემი კლუბის შედარება დროში განსხვავების გამო არ შეიძლება, თუმცა ერთი რამის თქმა კი ნამდვილად შემიძლია — კეიროშის ბანაკში ამჟამად ყველაფერი მეგავარსკვლავებზეა აგებული, ის „ბარსელონა“ კი გუნდი იყო“.

**ლადო ხომერიკი**



მსოფლიო და ბარსელონა: კარლოს ვალდერამა და ხრისტო სტოიჩკოვი

# იტალია

ვაჟუნა კიდია

# ჩართეთ ტელევიზორები: დერბი დელა მადონინა




ბრაზილიელები კაკა და ადრიანო დღეს ერთმანეთს ვერ გაუცინებენ

| XXII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| **მილანი** | — | **ინტერი** |
| სამპდორია | — | პარმა |
| **ხვალ** | | |
| უდინეზე | — | ანკონა |
| მოდენა | — | ემპოლი |
| ბოლონია | — | იუვენტუსი |
| კიევო | — | ლაციო |
| ბრეშა | — | ლეჩე |
| რეჯინა | — | პერუჯა |
| რომა | — | სიენა |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 21 | 16 | 4 | 1 | 40:11 | 52 |
| რომა | 21 | 14 | 5 | 2 | 41:9 | 47 |
| იუვენტუსი | 21 | 14 | 4 | 3 | 43:25 | 46 |
| ლაციო | 21 | 12 | 3 | 6 | 33:22 | 39 |
| ინტერი | 21 | 10 | 6 | 5 | 36:17 | 36 |
| პარმა | 21 | 10 | 6 | 5 | 30:25 | 36 |
| უდინეზე | 21 | 9 | 6 | 6 | 25:23 | 33 |
| სამპდორია | 21 | 7 | 9 | 5 | 26:24 | 30 |
| კიევო | 21 | 8 | 4 | 9 | 25:26 | 28 |
| ბოლონია | 21 | 6 | 7 | 8 | 23:28 | 25 |
| ბრეშა | 21 | 5 | 9 | 7 | 29:33 | 24 |
| მოდენა | 21 | 5 | 7 | 9 | 17:27 | 22 |
| სიენა | 21 | 5 | 6 | 10 | 28:30 | 21 |
| რეჯინა | 21 | 4 | 9 | 8 | 18:31 | 21 |
| ლეჩე | 21 | 5 | 4 | 12 | 25:38 | 19 |
| ემპოლი | 21 | 4 | 4 | 13 | 15:38 | 16 |
| პერუჯა | 21 | 0 | 11 | 10 | 23:39 | 11 |
| ანკონა | 21 | 0 | 6 | 15 | 8:39 | 6 |

„სან სიროზე“ დერბია, რომელშიც ორივე მონაწილემ უნდა მოიგოს, თორემ სწორედ ის მოხდება, რაც უამრავჯერ გვიხსენებია. კერძოდ, ან „მილანს“ შეერყევა ამ ორი ტურის წინ დიდი ზარ-ზეიმით მოპოვებული შთამბეჭდავი ლიდერობა, ან კიდევ „ინტერს“ დაეწყება მორიგი და ვინ მოთვლის მერამდენე კრიზისი. გარდა ამისა, ბუნებრივია, მილანურ დერბიში გამარჯვება თავმოყვარეობის საკითხია.

ახლა, რაც შეეხება სატურნირო მდგომარეობას. როგორც ზემოთ ვთქვით, „მილანი“ ლიდერია, „რომას“ ხუთი ქულით უსწრებს, მაგრამ ბოლო ტურში ლეჩეში 1:1-ზე უკეთესი ვერაფერი მოახერხა და რომ არა „რომას“ იმავდროული წაფორხილება, უპირატესობა შეუმცირდებოდა. თუმცა არის მეორე გუნდი, იტალიის ჯერ კიდევ ჩემპიონი „იუვენტუსი“, რომელმაც წინა ტურში მოიგო და „მილანთან“ რვაქულიანი ჩამორჩენა ექვს ქულამდე დაიყვანა. ერთი სიტყვით, „შავ-წითლებმა“ პლუსი და მინუსი მხოლოდ „რომასთან“ არ უნდა ითვალონ.

და „ინტერმაც“ ცუდად ითამაშა ბოლო ტურში, „მილანზე“ უარესად, შინ, „სან სიროზე“ 1:2 წააგო „უდინეზესთან“ და მეოთხე ადგილზე ასვლის შესაძლებლობა „ლაციოს“ აჩუქა. ახლა, ამ მარცხის შემდეგ „ინტერს“ ლიდერთან უკვე 16-ქულიანი ჩამორჩენა აქვს, ხოლო ლიდერი, როგორც ზემოთ ვახსენეთ, „მილანია“...

დღევანდელი შეხვედრისთვის როგორც „შავ-ლურჯებს“ ასევე „შავ-წითლებს“ საკმაოდ ცნობილი და ძლიერი ფეხბურთელები აკლიათ. მაგალითად, „მილანს“ ვერ დაეხმარება დისკვალიფიცირებული კაპიტანი პაოლო მალდინი, ხოლო ფილიპო ინძაგის და მასიმო ამბროზინის თამაში ტრავმის გამო ფრიად საეჭვოდაა, „ინტერს“ დაშავებული ჰყავს ფრანჩესკო კოკო, მატიას ალმეიდა, კრისტიანო ძანეტი, ფაბიო კანავარო, ობაფემი მარტინსი, ემრე და კარლოს გამარა, ხოლო მარკო მატერაცი ერთდროულად დისკვალიფიცირებულიცაა და დაშავებულიც.

ამბობენ, რომ ამ შეხვედრაში „ინტერის“ მწვრთნელი ალბერტო ძაკერონი, რომელმაც სხვათა შორის, თავის დროზე „მილანს“ იტალიის ჩემპიონის ტიტული მოაგებინა, საყვარელ 3-4-3-ს სოლიდური 4-4-2-ით შეცვლის და თავდასხმაში კრისტიან ვიერისა და ადრიანოს წყვილს ათამაშებს. ამ წყვილს მოედანზე ერთად კი გაუტარებია ხანი, მაგრამ სასტარტო, „ნამდვილ ძირითადში“ ერთად არასდროს ყოფილან.

დღევანდელ მეტოქეთა შეხვედრა ოქტომბერში „მილანის“ გამარჯვებით 3:1 დასრულდა და დღეს ხშირად ამბობენ, რომ „ინტერის“ მაშინდელი მწვრთნელის, ექტორ რაულ კუპერის ბედი სწორედ იმ თამაშმა გადაწყვიტა. მაშინ „შავ-ლურჯების“ კარში გოლები გაიტანეს ინძაგიმ, კაკამ და შევჩენკომ, „შავ-წითლებს“ კი ერთადერთი გოლი ობაფემი მარტინესმა გაუტანა.

საზოგადოდ, ბოლო წლებში „მილანი“ „ინტერს“ თვალნათლივ სჯობს. გახსოვთ, შარშან მაისში ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალიც „მილანმა“ რომ მოიგო? კიდევ თუ გახსოვთ „ინტერისთვის“ ყოვლად კატასტროფული 6:0 2001 წელს? და საერთოდაც, ბოლო შვიდ შეხვედრაში „შავ-ლურჯებმა“ მხოლოდ ერთხელ მოახერხეს ფრედ თამაში.

მოკლედ, „სან სიროზე“ დიადი მატჩია და მის შედეგს მოუთმენლად ელის „რომა“, რომელიც „სიენასთან“ სათამაშოდ შინ, „სტადიო ოლიმპიკოზე“ უკვე ხვალ, ჩვენი დროით საღამოს ექვს საათზე გავა. ბოლო ორ ტურში „რომამ“ ქომაგებს ყველაფერი აფიქრებინა. მე-20 ტურში „იუვენტუსს“ გადაურბინა (4:0), 21-ში კი საბრალო „ანკონას“ 0:0-ზე მეტი ვერაფერი მოუხერხა.

ფაბიო კაპელო ბოლო დროს 4-4-2 განლაგებას ერთგულებს, მაგრამ ამჯერად ორ თავდამსხმელთაგან ერთ-ერთის თამაში საჭოჭმანოა, ანტონიო კასანოს მცირე ტრავმა აწუხებს, იონ კარეუ კი ცუდ ფორმაშია. ერთის ან მეორეს მხარდამხარ ითამაშებს კაპიტანი ფრანჩესკო ტოტი, რადგან ვინჩენცო მონტელა ისევ დაშავებულია.

„იუვენტუსსაც“ ეცოდინება „დერბი დელა მადონინას“ შედეგი, როდესაც ხვალ „ბოლონიას“ წინააღმდეგ სათამაშოდ გავა, მაგრამ ვაგლახ, მშობლიურ „დელე ალპიზე“ კი არა, ბოლონიის „სტადიო დალ არაზე“. ერთი სიტყვით, „ბებერ ქალბატონს“ ძნელი საათნახევარი ელის — „დალ არაზე“ ტურინელებს 2001 წლის მაისის შემდეგ არ მოუგიათ. მაშინ „იუვემ“ „ბოლონიას“ 4:1 სძლია, მას შემდეგ კი ორი ფრე აქვს ნათამაშევი.

სტუმრებს დაუბრუნდებათ დავიდ ტრეზეგე, რომელიც თავდასხმაში ალესანდრო დელ პიეროს გვერდით მარკო დი ვაიოს ნაცვლად დაიკავებს ადგილს, ხოლო ახალგაზრდა ენცო მარესკას, რომელიც ბოლო ტურებში დიდებულად თამაშობს, ბუნებრივია, ძირითად შემადგენლობაში გარანტირებული აქვს ადგილი.

დაცვაში, რომელიც ტურინელთა ყველაზე დიდი საწუხარია, ბრუნდება ერთი თამაშით დისკვალიფიცირებული პაოლო მონტერო, მაგრამ გუნდს ჭირი რომ არ დაგელევა... ახლა ალესიო ტაკინარდი გახლავთ დისკვალიფიცირებული და მის ნაცვლად სტეფან აპია ითამაშებს და კიდევ, ვინაიდან ახლოვდება ჩემპიონთა ლიგის მატჩი, მარჩელო ლიპიმ შესაძლოა, პაველ ნედვედი დაასვენოს.

და ბოლოს, მეოთხე ადგილზე მყოფი „ლაციო“ ვერონაში, „კიევოსთან“ ჩადის, რათა სტუმრად ზედიზედ მესამე თამაში მოიგოს. ამბობენ, რომ წლეულს მაინც წამხდარი „კიევოს“ წინააღმდეგ ამის მიღწევა შეუძლებელი არ უნდა იყოს.



ფრანჩესკო ტოლდომ მილანურ თოვლს ნიჩაბი მოუმარჯვა

# ინგლისი

ბოტა კოტეტიშვილი

## ეშლი ვერ ჩაშლის

### თოფნაკრავი ჩელსი თავდასხმას აპირებს



პირველ წრეში „არსენალმა“ „ჩელსი“ კარლო კუდიჩინის ამ შეცდომის წყალობით დაამარცხა

ამ უქმეებზე ინგლისურ პრემიერლიგაში ცხრა მატჩია, ორი გუნდი კი, „პორტსმუთი“ და „ლივერპული“, ასოციაციის თასის გადათამაშებაში შეხვდებიან ერთმანეთს.

ყურადღება კი პირველ რიგში „სტემფორდ ბრიჯისკენ“ იქნება მიპყრობილი, სადაც „ჩელსი“ „არსენალს“ მასპინძლობს.

ეს გუნდები ამ სეზონში მესამედ ხვდებიან ერთმანეთს. წინა ორი მატჩი — ჩემპიონატის პირველ წრეში და თასზე — „მეთოფეებმა“ ერთი და იგივე ანგარიშით, 2:1 მოიგეს.

დღეისთვის კი ასეთი ვითარებაა — „არსენალს“ შეიძლება დაუბრუნდეს ტიერი ანრი, მაგრამ არ ეყოლება ეშლი კოული. ასევე საეჭვოა, ფრედი ლიუნგბერგისა და ჟილბერტო სილვას თამაში. ხოლო „ჩელსის“ ალბათ, დაუბრუნდებიან ერნან კრესპო, ჯონ ტერი და დიდი ხნის უთამაშებელი დამიენ დაფი.

ცხრილში „არსენალსა“ და „ჩელსის“ შორის გაჩხერილი „მანჩესტერ იუნაიტედი“ „ლიდსს“ მასპინძლობს და ერთი სული აქვს, „არსენალის“ წაფორხილებას მოესწროს. „მეთოფეები“ „იუნაიტედს“ უკვე ხუთი ქულით უსწრებენ.

მასპინძლებს დაუბრუნდებათ ლუი საჰა, რომელმაც წინა შაბათს „სიტისთან“ სათასო თამაში გამოტოვა, მაგრამ შუა კვირაში საფრანგეთის ნაკრებს გოლით შეეწია. ეს საჰას სადებიუტო მატჩი იყო ნაკრებში.

„ლიდსს“ კი არ ეყოლება მარკ ვიდუკა, რომელიც ფიფამ ხუთი დღით მოკვეთა სანაკრებო თამაშზე წაუსვლელობის გამო.

წინა ტურში „მანჩესტერის“ მძლეველი „მიდლსბრო“ კი ნიუკასლში ჩადის. მასპინძელთა მიზანი, ცხადია, საჩემპიონთალიგო ზონაში მოხვედრაა, სტივენ მაკლარენის გუნდი კი უეფას თასის საგზურს ეშურება, რომლამდეც ერთი ნაბიჯიღა უკლია — ლიგის თასის ფინალში „ბოლტონს“ ხვდება.

ბოროელებს დღეს დააკლდებათ ფორვარდი მაიკლ რიკეტსი, სამაგიეროდ, უგო ეჰიოგუ, ჯორჯ ბოატენგი და ჯონათან გრინინგი გამოუჯანმრთელდათ.

„ნიუკასლს“ პირველად ნოემბრის მერე დაეხმარება ლი ბოიერი, მისი ძმაკაცი ჯონათან ვუდგეიტი კი დაშავებულია.

უეფას თასს უმიზნებენ „ასტონ ვილა“ და „ბირმინგემიც“. ისინი ხვალ ერთმანეთში გაარკვევენ ურთიერთობას. „ვილამ“ ზედიზედ სამი თამაში მოიგო, მაგრამ დღეს მარჯვენა მცველი მარკ დელანი არ ეყოლება. „ბირმინგების“ ბოლოდროინდელი თამაში უფრო შთამბეჭდავია — ზედიზედ ხუთ მატჩში არ დამარცხებულა და თავისი წილი დანაკლისი მასაც აქვს — სანაკრებო გამოძახებიდან დაბრუნებული ავსტრალიელი სტენ ლაზარიდისი ბირმინგემში დამტვრეული ჩავიდა.

ბოლოს ორი სიტყვა სათასო მატჩზეც ვთქვათ. „ლივერპულს“ ავსტრალიელი ჰარი კიუელი დისკვალიფიცირებული ჰყავს, თუმცა ჟერარ ულიეს უიმისოდაც უძლიერესი შემადგენლობა ეყოლება. „პორტსმუთს“ კი ცუდად აქვს საქმე — ემდი ფაიე დისკვალიფიცირებულია, პატრიკ ბერგერი, ტედი შერინგემი და ივიცა მორნარი ტრავმებს იშუშებენ.

| XXVI ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ბოლტონი | — | სიტი |
| ჩარლტონი | — | ბლექბერნი |
| ჩელსი | — | არსენალი |
| მანჩესტერი | — | ლიდსი |
| ნიუკასლი | — | მიდლსბრო |
| საუთჰემპტონი | — | ევერტონი |
| ვულვზი | — | ფულემი |
| **ხვალ** | | |
| ასტონ ვილა | — | ბირმინგემი |
| ტოტენჰემი | — | ლესტერი |

| სადღეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 25 | 18 | 7 | 0 | 49:16 | 61 |
| მანჩესტერი | 25 | 18 | 2 | 5 | 49:23 | 56 |
| ჩელსი | 25 | 17 | 4 | 4 | 46:19 | 55 |
| ლივერპული | 25 | 10 | 8 | 7 | 36:27 | 38 |
| ნიუკასლი | 25 | 9 | 11 | 5 | 35:26 | 38 |
| ჩარლტონი | 25 | 10 | 7 | 8 | 34:30 | 37 |
| ასტონ ვილა | 25 | 10 | 6 | 9 | 30:28 | 36 |
| ფულემი | 25 | 10 | 5 | 10 | 37:35 | 35 |
| ბირმინგემი | 24 | 9 | 8 | 7 | 23:26 | 35 |
| ბოლტონი | 25 | 8 | 10 | 7 | 31:37 | 34 |
| ტოტენჰემი | 25 | 10 | 3 | 12 | 35:38 | 33 |
| საუთჰემპტონი | 25 | 8 | 7 | 10 | 23:23 | 31 |
| მიდლსბრო | 24 | 8 | 7 | 9 | 26:29 | 31 |
| ბლექბერნი | 25 | 7 | 6 | 12 | 36:40 | 27 |
| ევერტონი | 25 | 6 | 7 | 12 | 28:36 | 25 |
| სიტი | 25 | 5 | 9 | 11 | 33:37 | 24 |
| პორტსმუთი | 25 | 6 | 5 | 14 | 28:39 | 23 |
| ლესტერი | 25 | 4 | 9 | 12 | 33:47 | 21 |
| ლიდსი | 25 | 5 | 5 | 15 | 23:50 | 20 |
| ვულვზი | 25 | 4 | 8 | 13 | 22:51 | 20 |

# ესპანეთი

ლადო ხომერიკი

## მესტალიაზე პენალტი ახსოვთ

| XXV ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ესპანიოლი | — | რეალი |
| სელტა | — | მალაგა |
| ვალენსია | — | ბარსელონა |
| ატლეტიკო | — | დეპორტივო |
| სევილია | — | სოსიედადი |
| **ხვალ** | | |
| რასინგი | — | ვალიადოლიდი |
| ალბასეტე | — | მურსია |
| ბილბაო | — | ბეტისი |
| სარაგოსა | — | ვილიარეალი |
| ოსასუნა | — | მალიორკა |

| სადღეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 24 | 16 | 5 | 3 | 46:25 | 53 |
| ვალენსია | 24 | 15 | 6 | 3 | 46:17 | 51 |
| დეპორტივო | 24 | 15 | 4 | 5 | 41:17 | 49 |
| ბარსელონა | 24 | 11 | 7 | 6 | 38:28 | 40 |
| ბილბაო | 24 | 10 | 7 | 7 | 31:28 | 37 |
| ვილიარეალი | 24 | 10 | 6 | 8 | 35:30 | 36 |
| ატლეტიკო | 24 | 10 | 6 | 8 | 31:31 | 36 |
| ბეტისი | 24 | 9 | 8 | 7 | 32:26 | 35 |
| ოსასუნა | 24 | 8 | 10 | 6 | 24:21 | 34 |
| სევილია | 24 | 8 | 7 | 9 | 34:27 | 31 |
| სოსიედადი | 24 | 8 | 7 | 9 | 30:35 | 31 |
| რასინგი | 24 | 8 | 6 | 10 | 32:38 | 30 |
| მალაგა | 24 | 9 | 2 | 13 | 33:40 | 29 |
| ვალიადოლიდი | 24 | 7 | 8 | 9 | 28:35 | 29 |
| მალიორკა | 24 | 8 | 4 | 12 | 28:42 | 28 |
| სელტა | 24 | 6 | 9 | 9 | 34:41 | 27 |
| ალბასეტე | 24 | 6 | 5 | 13 | 23:34 | 23 |
| სარაგოსა | 24 | 6 | 5 | 13 | 23:35 | 23 |
| ესპანიოლი | 24 | 6 | 2 | 16 | 22:43 | 20 |
| მურსია | 24 | 2 | 10 | 12 | 22:40 | 16 |

კატალონიური „ბარსელონა“ დღეს „მესტალიაზე“ „ვალენსის“ შეერკინება, რომელიც წინა, 24-ე ტურის მძიმე შოკიდან ჯერ კიდევ ვერ გამოსულა. გასულ კვირას არბიტრმა პედრო ტრისტანტე ოლივამ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ რაფა ბენიტესის გუნდს ლახვარი ჩასცა — მატჩის 90-ე წუთზე (0:1) რაულის „თავგამოდებული“ მცდელობის შედეგად კანისარესის კარში უსამართლო პენალტი დანიშნა და მადრიდელმა ლუიშ ფიგუმაც „ვალენსიას“ ასპროცენტიანი 3 ქულა ცხვირწინ ააცალა. „მესტალიას“ შემოგარენი აბობოქრებულია. „ეს საშინელი შემთხვევა იყო. არ ვიცი, ამ დანაშაულის მონაწილენი დაისჯებიან თუ არა, მაგრამ ერთი რამ კი ცხადია — ჩვენი ბიჭების უმრავლესობა ჯერაც ძალიან განიცდის მადრიდული ქურდობის ამბავს“ — განაცხადა ფაბიან აიალამ ოთხშაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე. თუმც ზოგიერთი გულგაუტეხელის აზრით (მარჩენა, ბარახა), „ბერნაბეუს“ ეპიზოდი უკვე წარსულს ჩაბარდა და „ვალენსიაც“ რაიკარდის შეგირდებთან რთული ჭიდილისთვის უნდა მოემზადოს.

მიუხედავად იმისა, რომ „ბარსამ“ 4 საპრიმერო გამარჯვება ზედიზედ იზეიმა, დღეს ის აფიქრებს, ზემოხსენებული ოლივას ცოდვები არ მოეკითხოს. ვალენსიური ინჩასობა გალიზიანებულია და ესპანურ პრესაში უკვე გაჟონა ცნობებმა მატჩის შესაძლო აგრესიული გარემოს შესახებ. არასახარბიელო ვითარებაშია მსაჯი რუბინოს პერესიც, ვისაც ჭეშმარიტად ტიტანური ძალისხმევა დასჭირდება ლიდერთა ჯახის მშვიდობიანად დასამთავრებლად.

„ბარსელონას“ ჰოლანდიელი ედგარ დავიდსი დააკლდება, რომელსაც „ატლეტიკოსთან“ თამაშში ორი ყვითელი ბარათი დაიმსახურა და შესაბამისად, ბენიტესის ბიჭებს ვეღარ შეებმება. „ვალენსია“ კი, მისდა სამწუხაროდ, მოისაკლისებს პაბლო აიმარს — არგენტინელმა ხუთშბათის ვარჯიშზე ხელი ისე დაიშავა, რომ ექიმებმა მკვეთრი მოძრაობები აუკრძალეს.

კარლუშ კეიროშის „რეალი“ ბარსელონურ „მონჟუიკზე“ ტრავმირებული გუტისა და დისკვალიფიცირებული ბექემის გარეშე ჩადის. პრიმერას აუტსაიდერიც, მსაჯების დედაქალაქელთა მიმართ გადაჭარბებულ სიყვარულს შეუშინებია (ისევ ის პენალტი?). „იმედია, მადრიდის „რეალს“ ჩვენთანაც ფარად არბიტრები არ დაუდგებიან, თორემ თუ ასე მოხდა, დამეთანხმებით, მეტად კომიკურ სიტუაციაში აღმოვჩნდებით“ — სევდიანად იხუმრა ლუის ფერნანდესმა. ფრანგს კარგად ესმის, რომ სეგუნდადივიზიონიდან თავის დახსნა მომდევნო სამ შეხვედრაზე („რეალი“, „ვალენსია“, „სელტა“) დიდადაა დამოკიდებული. ამიტომაც გალური იუმორის გარდა, ალბათ სამწვრთნელო არსენალში სხვა იარაღსაც დაიგულებს.

დღეს და ხვალ ესპანეთში ბასკურ-სევილიური დიდი დერბია — შაბათს „სანჩეს პისხუანზე“ ხოაკიმ კაპაროსის „სევილია“ რეინალდ დენიოს „სოსიედადს“ მასპინძლობს, ხოლო კვირას „ბეტისი“ „სან მამესზე“ „ბილბაოს“ ესტუმრება. კაპაროსის ბიჭებს სანსებასტიანელი ბასკებისთვის 95-96-ის სეზონის მერე არ მოუგიათ. ვიქტორ ფერნანდესის „ბეტისი“ კი, თუ ბილბაოში იხეირებს, ზედიზედ მეხუთე საპრიმერო მატჩში მიითვლის სამ ქულას.



რაფაელ ბენიტესი



ფრანკ რაიკარდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გერმანია

დავით თავართქილაძე

## კვერცხი და ქათამი აილტონურად

### დღეს ვერდერია, შალკე ხვალ იქნება

| XXI ტური | |
|---|---|
| **დღეს** | |
| ჰანზა | ჰანოვერი |
| გლადბახი | ფრაიბურგი |
| ლაუტერნი | შტუტგარტი |
| შალკე | ვერდერი |
| ვოლფსბურგი | მიუნხენი |
| ბაიერნი | ჰამბურგი |
| ლევერკუზენი | ბოხუმი |
| **ხვალ** | |
| დორტმუნდი | კიოლნი |
| ჰერტა | აინტრახტი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვერდერი | 20 | 15 | 3 | 2 | 52:21 | 48 |
| ბაიერნი | 20 | 11 | 6 | 3 | 44:22 | 39 |
| შტუტგარტი | 20 | 11 | 6 | 3 | 27:9 | 39 |
| ლევერკუზენი | 20 | 10 | 6 | 4 | 37:22 | 36 |
| ბოხუმი | 20 | 9 | 6 | 5 | 33:23 | 33 |
| დორტმუნდი | 20 | 9 | 4 | 7 | 35:28 | 31 |
| შალკე | 20 | 8 | 7 | 5 | 26:23 | 31 |
| ჰამბურგი | 20 | 7 | 6 | 7 | 28:33 | 27 |
| ვოლფსბურგი | 20 | 8 | 1 | 11 | 37:39 | 25 |
| ჰანოვერი | 20 | 6 | 6 | 8 | 36:44 | 24 |
| ფრაიბურგი | 20 | 7 | 3 | 10 | 28:44 | 24 |
| ჰანზა | 20 | 6 | 5 | 9 | 29:31 | 23 |
| მიუნხენი | 20 | 6 | 5 | 9 | 20:29 | 23 |
| გლადბახი | 20 | 5 | 5 | 10 | 20:28 | 20 |
| ჰერტა | 20 | 4 | 7 | 9 | 19:39 | 19 |
| ლაუტერნი | 20 | 6 | 3 | 11 | 22:34 | 18 |
| აინტრახტი | 20 | 4 | 5 | 11 | 20:31 | 17 |
| კიოლნი | 20 | 4 | 4 | 12 | 16:29 | 16 |

„კაიზერსლაუტერნს“ დაკლებული აქვს 3 ქულა

გელზენკირხენში „შალკე“ „ვერდერს“ უმასპინძლებს, რომელსაც ფრანც ბეკენბაუერმა ბუნდესჩემპიონობა ნაადრევად მიულოცა. ბრემენელ „მუსიკოსებს“ მომავალი სეზონიდან მთავარმეგოლე აილტონი და სერბი მცველი მლადენ კრსტაიჩი დატოვებენ. ისინი შემოდგომიდან „შალკეს“ მაისურას მოირგებენ, დღეს კი „ხუმარების“ წინააღმდეგ თამაში მოუწევთ.

აილტონმა თქვა, რომ გოლის გატანის შანსი თუ ექნება, ფეხი არ აუკანკალდება: „შალკე“ ხვალ იქნება, დღეს კი „ვერდერის“ ფეხბურთელი ვარ და ამ გუნდისთვის ვთამაშობ“.

მიუნხენის „ბაიერნს“ მომავალ კვირაში მადრიდის „რეალთან“ ომი ელის და ოტმარ ჰიცფელდი ბიჭების მზადყოფნას „ჰამბურგთან“ შეამოწმებს. წინა ტურში „ბოხუმთან“ დამარცხებულ ბავარიელებს რეაბილიტაცია სწადიათ და მეტოქეს გაბდღვნას უპირებენ. სტუმრებს ტრავმირებული მეკარე მარტინ პიკენჰაგენი დააკლდებათ.

ბუნდესლიგაში დასარჩენად მებრძოლი „კაიზერსლაუტერნი“ „შტუტგარტს“ მიიღებს. დამხვდურებს ეგვიპტელი მცველი ჰანი რამზი და შვეიცარიელი ნახევარმცველი ჩირიაკო სფორცა ტრავმირებული ჰყავთ, ფელიქს მაგათის ბორის ჟივკოვიჩი კი დისკვალიფიცირებულია.

ბოლო სამ მატჩში ოღენ ქულის ამღები „ლევერკუზენი“ „ბოხუმს“ უმასპინძლებს. „ფარმაცევტებს“ თურქი ნახევარმცველი ილდირაი ბაშთურქის გარეშე მოუწევთ თამაში.

| 5016 | კაიზერსლაუტერნი-შტუტგარტი | 3,1 | 2,1 | 3,1 | 1,25 | 1,55 | 1,25 |
| 5017 | ბაიერნი-ჰამბურგი | 1,65 | 2,6 | 6,5 | 1 | 1,31 | 1,85 |
| 5019 | ჰანზა-ჰანოვერი | 2,5 | 2,1 | 3,8 | 1,14 | 1,5 | 1,35 |
| 5020 | დორტმუნდი-კიოლნი | 1,65 | 2,6 | 6,5 | 1 | 1,31 | 1,85 |
| 5021 | ჰერტა-აინტრახტი | 2,05 | 2,15 | 5,6 | 1,04 | 1,5 | 1,55 |
| 5022 | სამპდორია-პარმა | 2,5 | 1,95 | 4,4 | 1,09 | 1,59 | 1,35 |
| 5023 | მილანი-ინტერი | 2,7 | 1,95 | 4,0 | 1,13 | 1,61 | 1,31 |
| 5024 | ბოლონია-იუვენტუსი | 4,8 | 2,0 | 2,35 | 1,41 | 1,57 | 1,08 |
| 5025 | კიევო-ლაციო | 4,0 | 2,0 | 2,6 | 1,33 | 1,57 | 1,13 |
| 5026 | მოდენა-ემპოლი | 2,35 | 2,0 | 4,8 | 1,08 | 1,57 | 1,41 |
| 5027 | რეჯინა-პერუჯა | 2,2 | 2,1 | 5,0 | 1,07 | 1,52 | 1,47 |
| 5028 | რომა-სიენა | 1,45 | 3,1 | 7,5 | 1 | 1,21 | 2,19 |
| 5030 | უდინეზე-ანკონა | 1,65 | 2,6 | 6,5 | 1 | 1,31 | 1,85 |
| 5031 | ბრეშა-ლეჩე | 2,35 | 2,0 | 4,8 | 1,08 | 1,57 | 1,41 |
| 5032 | ესპანიოლი-რეალი | 5,6 | 2,25 | 1,95 | 1,6 | 1,44 | 1,04 |
| 5033 | სელტა-მალაგა | 2,25 | 2,1 | 4,8 | 1,08 | 1,53 | 1,46 |
| 5034 | ვალენსია-ბარსელონა | 2,3 | 2,1 | 4,6 | 1,09 | 1,53 | 1,44 |
| 5035 | ატლეტიკო-დეპორტივო | 3,1 | 2,1 | 3,1 | 1,25 | 1,55 | 1,25 |
| 5036 | სევილია-სოსიედადი | 2,6 | 2,1 | 3,6 | 1,16 | 1,5 | 1,32 |
| 5037 | რასინგი-ვალიადოლიდი | 2,45 | 2,05 | 4,2 | 1,11 | 1,54 | 1,37 |
| 5038 | ოსასუნა-მალიორკა | 2,3 | 2,05 | 4,8 | 1,08 | 1,55 | 1,43 |
| 5039 | ალბასეტე-მურსია | 2,2 | 2,05 | 5,0 | 1,06 | 1,52 | 1,45 |
| 5040 | სარაგოსა-ვილიარეალი | 2,9 | 2,1 | 3,3 | 1,21 | 1,54 | 1,28 |
| 5041 | ბილბაო-ბეტისი | 2,45 | 2,1 | 4,0 | 1,13 | 1,51 | 1,37 |

# გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 5301 | ჩელსი-არსენალი | 1,7 | 1,9 |
| 5302 | მანჩესტერი-ლიდსი | 1,8 | 1,8 |
| 5304 | ბოლტონი-სიტი | 1,7 | 1,9 |
| 5305 | ჩარლტონი-ბლეკბერნი | 1,7 | 1,9 |
| 5307 | ნიუკასლი-მიდლსბრო | 1,75 | 1,85 |
| 5308 | საუთჰემპტონი-ევერტონი | 1,75 | 1,85 |
| 5309 | ვულვერჰემპტონი-ფულემი | 1,7 | 1,9 |
| 5310 | ასტონ ვილა-ბირმინგემი | 1,75 | 1,85 |
| 5311 | ტოტენჰემი-ლესტერი | 1,75 | 1,85 |
| 5312 | შალკე-ვერდერი | 1,55 | 2,1 |
| 5313 | ვოლფსბურგი-მიუნხენი | 1,65 | 1,95 |
| 5314 | მიონხენგლადბახი-ფრაიბურგი | 1,6 | 2,0 |
| 5315 | ლევერკუზენი-ბოხუმი | 1,6 | 2,0 |
| 5316 | კაიზერსლაუტერნი-შტუტგარტი | 1,6 | 2,0 |
| 5317 | ბაიერნი-ჰამბურგი | 1,7 | 1,9 |
| 5319 | ჰანზა-ჰანოვერი | 1,6 | 2,0 |
| 5320 | დორტმუნდი-კიოლნი | 1,65 | 1,85 |
| 5321 | ჰერტა-აინტრახტი | 1,7 | 1,9 |
| 5322 | სამპდორია-პარმა | 1,65 | 1,95 |
| 5323 | მილანი-ინტერი | 1,6 | 2,0 |
| 5324 | ბოლონია-იუვენტუსი | 1,65 | 1,95 |
| 5325 | კიევო-ლაციო | 1,65 | 1,95 |
| 5326 | მოდენა-ემპოლი | 1,7 | 1,9 |
| 5327 | რეჯინა-პერუჯა | 1,7 | 1,9 |
| 5328 | რომა-სიენა | 1,8 | 1,8 |
| 5330 | უდინეზე-ანკონა | 1,7 | 1,9 |
| 5331 | ბრეშა-ლეჩე | 1,7 | 1,9 |
| 5332 | ესპანიოლი-რეალი | 1,6 | 2,0 |
| 5333 | სელტა-მალაგა | 1,65 | 1,95 |
| 5334 | ვალენსია-ბარსელონა | 1,65 | 1,95 |
| 5335 | ატლეტიკო-დეპორტივო | 1,65 | 1,95 |
| 5336 | სევილია-სოსიედადი | 1,65 | 1,95 |
| 5337 | რასინგი-ვალიადოლიდი | 1,65 | 1,95 |
| 5338 | ოსასუნა-მალიორკა | 1,65 | 1,95 |
| 5339 | ალბასეტე-მურსია | 1,65 | 1,95 |
| 5340 | სარაგოსა-ვილიარეალი | 1,65 | 1,95 |
| 5341 | ბილბაო-ბეტისი | 1,65 | 1,95 |

# რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5201 | ჩელსი-არსენალი | 1,9 | 1,7 |
| 5202 | მანჩესტერი-ლიდსი | 2,0 | 1,6 |
| 5204 | ბოლტონი-სიტი | 1,8 | 1,8 |
| 5205 | ჩარლტონი-ბლეკბერნი | 1,8 | 1,8 |
| 5207 | ნიუკასლი-მიდლსბრო | 1,9 | 1,7 |
| 5208 | საუთჰემპტონი-ევერტონი | 1,7 | 1,9 |
| 5209 | ვულვერჰემპტონი-ფულემი | 1,7 | 1,9 |
| 5210 | ასტონ ვილა-ბირმინგემი | 1,75 | 1,85 |
| 5211 | ტოტენჰემი-ლესტერი | 1,95 | 1,65 |
| 5212 | შალკე-ვერდერი | 2,0 | 1,6 |
| 5213 | ვოლფსბურგი-მიუნხენი | 2,0 | 1,6 |
| 5214 | მიონხენგლადბახი-ფრაიბურგი | 1,9 | 1,7 |
| 5215 | ლევერკუზენი-ბოხუმი | 2,0 | 1,6 |
| 5216 | კაიზერსლაუტერნი-შტუტგარტი | 1,8 | 1,8 |
| 5217 | ბაიერნი-ჰამბურგი | 2,2 | 1,5 |
| 5219 | ჰანზა-ჰანოვერი | 2,0 | 1,6 |
| 5220 | დორტმუნდი-კიოლნი | 2,0 | 1,6 |
| 5221 | ჰერტა-აინტრახტი | 1,95 | 1,65 |
| 5222 | სამპდორია-პარმა | 1,75 | 1,85 |
| 5223 | მილანი-ინტერი | 1,85 | 1,75 |
| 5224 | ბოლონია-იუვენტუსი | 1,75 | 1,85 |
| 5225 | კიევო-ლაციო | 1,9 | 1,7 |
| 5226 | მოდენა-ემპოლი | 1,65 | 1,95 |
| 5227 | რეჯინა-პერუჯა | 1,7 | 1,9 |
| 5228 | რომა-სიენა | 2,0 | 1,6 |
| 5230 | უდინეზე-ანკონა | 1,75 | 1,85 |
| 5231 | ბრეშა-ლეჩე | 1,75 | 1,85 |
| 5232 | ესპანიოლი-რეალი | 2,0 | 1,6 |
| 5233 | სელტა-მალაგა | 1,8 | 1,8 |
| 5234 | ვალენსია-ბარსელონა | 1,9 | 1,7 |
| 5235 | ატლეტიკო-დეპორტივო | 1,85 | 1,75 |
| 5236 | სევილია-სოსიედადი | 1,75 | 1,85 |
| 5237 | რასინგი-ვალიადოლიდი | 1,8 | 1,8 |
| 5238 | ოსასუნა-მალიორკა | 1,7 | 1,9 |
| 5239 | ალბასეტე-მურსია | 1,7 | 1,9 |
| 5240 | სარაგოსა-ვილიარეალი | 1,8 | 1,8 |
| 5241 | ბილბაო-ბეტისი | 1,75 | 1,85 |

# ჩემპიონები და თასის აღება

**9001**

**ინგლისი (21.02)**

მანჩესტერი 1,4
არსენალი 3,0
ჩელსი 5,0

**9002**

**გერმანია (21.02)**

ვერდერი 1,5
ბაიერნი 2,1
შტუტგარტი 5,0
ლევერკუზენი 10,0

**9003**

**იტალია (21.02)**

მილანი 1,4
რომა 4,0
იუვენტუსი 5,0

**9004**

**ესპანეთი (21.02)**

რეალი 1,3
ვალენსია 3,8
დეპორტივო 7,5

**9005**

**საფრანგეთი (20.02)**

მონაკო 1,2
ლიონი 3,5
პსჟ 8,0

**9006**

**პორტუგალია (21.02)**

პორტუ 1,04
სპორტინგი 7,0
ბენფიკა 15,0

**9007**

**ჰოლანდია (21.02)**

აიაქსი 1,16
პსვ 3,8

**9008**

**ავსტრია (21.02)**

აუსტრია 1,35
რაპიდი 4,0
გრაცერი 5,0

**9009**

**დანია (14.03)**

ბრიონდბიუ 1,3
ესბიერგი 4,0
კოპენჰაგენი 5,0

**9010**

**საბერძნეთი (14.02)**

ოლიმპიაკოსი 1,6
პანათინაიკოსი 2,0
პაოკ 8,0

**9011**

**უკრაინა (15.02)**

შახტარი 1,55
დინამო 1,95

**9020**

**ჩემპიონთა თასი (24.02)**

**რომელი ქვეყნის გუნდი აიღებს თასს**

ინგლისი 1,8
იტალია 2,5
ესპანეთი 2,9
გერმანია 9,3
საფრანგეთი 13,6

**9020**

**ჩემპიონთა თასი (24.02)**

რეალი 4,0
მანჩესტერი 4,6
იუვენტუსი 5,0
მილანი 5,0
ჩელსი 6,0
არსენალი 6,0
ბაიერნი 15,0
დეპორტივო 20,0
შტუტგარტი 25,0
მონაკო 25,0
ლიონი 30,0
პორტუ 40,0
სოსიედადი 40,0
სელტა 50,0
ლოკომოტივი 100,0
სპარტა 150,0

**9022**

**უეფას თასი (26.02)**

რომა 5,6
ვალენსია 6,0
ბარსელონა 6,0
ინტერი 6,0
ლივერპული 6,0
ნიუკასლი 8,0
პარმა 10,0
სელტიკი 12,0
მარსელი 15,0
ბორდო 25,0
მალიორკა 25,0
პსვ 25,0
ოსერი 25,0
გალათასარაი 30,0
ბრიუგე 30,0
პერუჯა 30,0
ბენფიკა 30,0
ვილიარეალი 30,0
ბეშიქთაში 30,0
სოშო 40,0
პანათინაიკოსი 40,0
რუსენბორგი 50,0
სპარტაკი 60,0
გენჩლერბირლ. 60,0
ბრიონდბიუ 60,0
გაზიანთეფი 100,0
გროცლინი 100,0
ტეპლიცე 100,0
დნიპრო 100,0
ლევსკი 150,0
დებრეცენი 250,0
ვოლერენგა 250,0

**9031**

**NHL (05.04)**

კოლორადო 4,5
დეტროიტი 5,0
ფილადელფია 5,5
ვანკუვერი 6,0
ნიუ ჯერსი 6,5
ოტავა 7,0
ტორონტო 7,5
სტ.ლუისი 10,0
დალასი 12,0
ტამპა ბეი 20,0
ბოსტონი 20,0
ლოს ანჯელესი 20,0
სან ხოსე 25,0
რეინჯერსი 25,0
ატლანტა 30,0
კალგარი 30,0
ანაჰაიმი 35,0
მინესოტა 35,0
აილენდერსი 40,0
მონრეალი 50,0
ედმონტონი 60,0
ფინიქსი 60,0
კაროლინა 75,0
ჩიკაგო 75,0
ნეშვილი 75,0
ბუფალო 100,0
ფლორიდა 100,0
კოლამბუსი 125,0
პიტსბურგი 125,0
ვაშინგტონი 125,0

**9032**

**NBA (15.04)**

ლეიკერსი 1,65
საკრამენტო 4,5
სან ანტონიო 5,0
დალასი 8,0
ინდიანა 10,0
დეტროიტი 12,0
მინესოტა 12,0
ნიუ ჯერსი 15,0
ნიუ ორლეანი 25,0
ფილადელფია 40,0
ჰიუსტონი 50,0
ბოსტონი 60,0
დენვერი 60,0
ნიუ იორკი 60,0
პორტლენდი 60,0
ტორონტო 60,0
სიეტლი 75,0
იუტა 75,0
მილუოკი 75,0
გოლდენ სტ. 100,0
მემფისი 100,0
ფინიქსი 100,0
კლიპერსი 150,0
ორლანდო 150,0
მაიამი 200,0
ატლანტა 250,0
ვაშინგტონი 250,0
ჩიკაგო 250,0
კლივლენდი 300,0

## საქართველოს ჩემპიონატი

ვერის ბაღი. 22 თებერვალი. 16 საათი

# დინამო VS სტუ-ჯეოსელი

*კვირას ქართული ჩემპიონატის ორი წამყვანი გუნდის შეხლაა — ჩემპიონი „დინამო" ბრინჯაოსმედალოსან „სტუ-ჯეოსელს" ხვდება. ამათი წინა ჭიდილი ტექნიკოსების გამარჯვებით დასრულდა და სტუდენტები ახლაც ამტაზე არიან, ბოლომდე ვაჟკაცურად ვიბრძოლებთო. მაგრამ ქადილი ერთია და რეალობა მეორე — სტუ-ს ლამის ნახევარი გუნდი ტრავმირებული ჰყავს, ასე რომ, ხვალინდელ შეხვედრაში იღბლის იმედადაც თუ იქნება...*

# გრიპი სტუ-ს ვაჟკაცობას შეამოწმებს

კაფე „მსოფლიო სპორტში" გამართულ წინასამატჩო პრესკონფერენციაზე სტუ-ს მწვრთნელმა ნიკოლოზ ჩერქეზიშვილმა სწორედ ტრავმირებულებზე ილაპარაკა...

„ქალაქში, მოგეხსენებათ, გრიპის ვირუსია გავრცელებული და, სამწუხაროდ, მას ვერც ჩვენი მოთამაშეები გადაურჩნენ. გრიპის გამო ვერ დაგვეხმარებიან გიორგი გაგნიძე და ირაკლი ჯაფარიძე, ზვიად ბაბიაშვილს კი ისევ აწუხებს ამოვარდნილი მხარი. გვაკლია ალეკო დავითულიანიც, რომელმაც ადრე ნაღრძობი ფეხი ხელმეორედ იღრძო და ახლა მკურნალობს. მიუხედავად ასეთი რთული მდგომარეობისა, უიმედოდ არ ვართ, მოედანზე ვაჟკაცურად ვიბრძოლებთ, „დინამოს" არაფერს დავუთმობთ."

განახევრებული სტუ-ს მწვრთნელი ლაპარაკობდა იმედიანად და დინამოელთა ხორვატი თავკაცი რაღას იზამდა. დრაჟენ ბრაიკოვიჩმა საუბარი მატჩის მნიშვნელობაზე დაიწყო...

„დინამო" და სტუ ჩემპიონატის წამყვანი გუნდები არიან და ჩვენი შეხვედრაც მუდამ დიდ ინტერესს იწვევდა. თუნდაც ბოლო მატჩი ავიღოთ, რომელიც სტუ-მ მოგვიგო, მაგრამ იგივე რომ განმეორდეს, ამის შანსი თითქმის არ არსებობს. განსაკუთრებულად არ მოვმზადებულვართ ამ შეხვედრისთვის, ჩვეული ტემპით ვვარჯიშობდით და ვფიქრობ, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება. შესაძლოა, არ ითამაშოს ვალერი კილაძემ, სხვები კი ჯანზე არიან."

ბოლოს ორი სიტყვა მოთამაშეებმაც თქვეს. დინამოელმა კოტე ტუღუშმაც და ტექნიკოსმა გიორგი ნიკოლაძემაც პირობა დადეს, რომ კვირას მხოლოდ მოსაგებად გავლენ მოედანზე.

**ირაკლი პერტაია**

ბათუმი. 20 თებერვალი

**ბასკო 95:78 თსუ**

# რა დევები შეყრილან!
## დეტროიტმა მეორე ვოლესი იშოვა

ნბა-ს ყველაზე ნერვებდაძაგრული, წვერჯაგარა მოთამაშე რაშიდ ვოლესისთვის ახალი ცხოვრება მაშინ დაიწყო, როცა ზედ ოლ სტარის წინ მისმა ვერმომრჯულებელმა „პორტლენდმა" აიღო და „შელავათიან ფასად" „ატლანტას" დაუთმო. ვოლესი მომთაბარე მოთამაშედ არ ითვლება, 9-წლიან კარიერაში „პორტლენდი" მისი მეორე კლუბი იყო, ამიტომ 29 წლის ასაკში გუნდის გამოცვლა მთლად მარიხუანას ქაჩვასავით ყოველდღიური საქმე არაა. შლეგსა და უკარებას გაუჭირდებოდა ახალ გუნდში მეგობრების შემოკრება.

„მაგრამ" ვოლესის ვოიაჟი ჯორჯიის მთავარქალაქში არ დასრულებულა. წყნარი ოკეანის სანაპიროდან ატლანტიკაში გადმოსროლილს მუდმივი საცხოვრებელი სახლის ძიება არც დაუწყია, ფეშენებელურ სასტუმროში სულ ორიოდ დღით იდგა და „ატლანტა ჰოქსის" ერთადერთ თამაშში მიიღო მონაწილეობა — „ნიუ ჯერსი ნეთსს" 20 ქულა ჩაუგდო. უბადრუკმა „ატლანტამ" ლამის მოუგო ბოლო ათ თამაშში დაუმარცხებელ „ნიუ ჯერსის", მაგრამ რაშიდის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. ზედ დედლაინის წინ ჯორჯიელებმა ვოლესი „დეტროიტ პისტონზს" დაუთმეს ჩალის ფასად.

სამ გუნდს შორის ჩატრიალებულ გაცვლაში „დეტროიტმა" ოთხი სათადარიგო მოთამაშე (ჟელკო რებრაჩა, ჩაკ ეტკინსი, ლინდსი ჰანტერი, ბობ სურა) დათმო და ვოლესი მიიღო. „პისტონზის" პრეზიდენტის ჯო დუმარსის თქმით ვოლესი არც მესიაა და არც საქმის ამრევი, მან უბრალოდ უნდა აკეთოს თავისი საქმე და ყველაფერი კარგად იქნება. 211-სანტიმეტრიანი რაშიდი „პისტონზის" ფარქვეშეთში 206-სანტიმეტრიან თანამოგვარე ბენ ვოლესს შეუწყვილდება და თუ საკუთარი ნერვების კონტროლს შეძლებს და მსაჯებთან დავას არ გადაყვება, „დეტროიტს" მთელს აღმოსავლეთ კონფერენციაში უმძლავრესი წინა ხაზი ეყოლება.

19 თებერვალი ნბა-ში დედლაინის დღე იყო და კიდევ არაერთმა გუნდმა ისარგებლა გაცვლის გაკეთების ბოლო უფლებით. ზაზა ფაჩულიას „ორლანდომ" ხორვატი მსროლელი გორდან გირიჩეკი „იუტას" ასევე მსროლელ დეშონ სტივენსონში გაუცვალა, ხოლო გამთამაშებელი შემონდ უილიამსი „ნიუ ორლეანში" გაუშვა ბებერი ცენტრის შონ რუქსის მაგივრად.

**კოტე ყორშია**




რაშიდ ვოლესი მოგვარე ბენს „დეტროიტის" ფარქვეშ შეხვდება

# ევროლიგა
## მეორე ჯგუფური ეტაპი. XIV ტური. 18-19 თებერვალი

### A ჯგუფი

**ულქერი 61:76 ბარსელონა**
ულქერი: ქუთლუაი (20)
ბარსელონა: ნავარო (15), ბოდიროგა (12)

**პარტიზანი 77:71 აეკ**
პარტიზანი: კრსტიჩი (25)
აეკ: ჯენკინსი (19)

**რომა 73:80 პო ორტეზი**
რომა: ტუშეკი (18)
პო ორტეზი: ფორესტი (18)

**ოლიმპია 85:81 ციბონა**
ძირითადი დრო 73:73
ოლიმპია: ბოისა (32 წუთი, 27 ქულა)
ციბონა: რიმაჩი (22)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 14 | 12 | 2 | +149 | 26 |
| ციბონა | 14 | 8 | 6 | +21 | 22 |
| ულქერი | 14 | 8 | 6 | -27 | 22 |
| ოლიმპია | 14 | 6 | 8 | -30 | 20 |
| პო ორტეზი | 14 | 6 | 8 | +11 | 20 |
| აეკ | 14 | 6 | 8 | -33 | 20 |
| პარტიზანი | 14 | 6 | 8 | +3 | 20 |
| რომა | 14 | 4 | 10 | -94 | 18 |

### B ჯგუფი

**სკიპერი 82:60 უნიკახა**
სკიპერი: ლორბეკი (13)
უნიკახა: ფილიპი (9)

**პანათინაიკოსი 101:67 კრკა**
პანათინაიკოსი: ხაძივრეტასი (17)
კრკა: რიკერტი (13)

**ჟალგირისი 75:78 ცსკა**
ჟალგირისი: კოტა (19)
ცსკა: ბრაუნი (18)

**მაკაბი 88:86 სიენა**
მაკაბი: იასიკევიჩუსი (27)
სიენა: კიაჩიგი (15)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 14 | 11 | 3 | +135 | 25 |
| მაკაბი | 14 | 11 | 3 | +92 | 25 |
| სკიპერი | 14 | 8 | 6 | +33 | 22 |
| სიენა | 14 | 7 | 7 | +15 | 21 |
| პანათინაიკოსი | 14 | 7 | 7 | +28 | 21 |
| ჟალგირისი | 14 | 6 | 8 | 0 | 20 |
| უნიკახა | 14 | 4 | 10 | -60 | 18 |
| კრკა | 14 | 2 | 12 | -242 | 16 |

### C ჯგუფი

**ვილერბანი 70:82 ტაუ**
ვილერბანი: დუმასი (19)
ტაუ: მასიაუსკასი (29)

**პამესა 107:103 ეფესი**
ძირითადი დრო 94:94
პამესა: რიგოდო (23)
ეფესი: არსლანი (25)

**შლიონსკი 72:77 ბენეტონი**
შლიონსკი: დრიდი (21)
ბენეტონი: გარბახოსა (20)

**ალბა 70:71 ოლიმპიაკოსი**
ალბა: კოლინზი (21)
ოლიმპიაკოსი: ლიადელისი (16)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ეფესი | 14 | 10 | 4 | +64 | 24 |
| ბენეტონი | 14 | 10 | 4 | +118 | 24 |
| პამესა | 14 | 9 | 5 | +60 | 23 |
| ტაუ | 14 | 9 | 5 | +56 | 23 |
| ოლიმპიაკოსი | 14 | 7 | 7 | +1 | 21 |
| შლიონსკი | 14 | 6 | 8 | -53 | 20 |
| ალბა | 14 | 3 | 11 | -95 | 17 |
| ვილერბანი | 14 | 2 | 12 | -151 | 16 |

# იუგოსლავიელების საქმე რუსთაველმა გაარჩია



ვლადიმერ ბოისა

მე-5 წელია, ვლადიმერ ბოისა სლოვენიაში თამაშობს და ოლიმპიური რეკორდი გუშინწინ დაამყარა — ზაგრების „ციბონას" 27 ქულა ჩაუგდო. ვოვამ ბრწყინვალედ ითამაშა და სლოვენიური გუნდი სირცხვილს ააცილა.

საქმე ის გახლავთ, რომ ლიუბლიანურ კლუბს არასდროს უჭირდა პირველი საევროლიგო ბარიერის დაძლევა, ახლა კი ჯგუფში ჩარჩენის რეალური საფრთხის წინაშე იდგა — წააგებდა და ევროლიგას ემშვიდობებოდა. სწორედ ასეთ მნიშვნელოვან მატჩში გაიბრწყინა ოლიმპიელთა რუსთაველმა კაპიტანმა და „ოლიმპია", რომ იტყვიან, ჯგუფიდან გაათრია.

„ყველამ იცოდა ამ მატჩის ფასი, „ოლიმპიას" თავის ერთგული გულშემატკივრების თვალწინ ჯგუფში ჩარჩენა ელოდა. ეს არ უნდა დაგვეშვა და ძალიან მოვინდომეთ, რაც დაგვიფასდა კიდეც" — უთხრა სლოვენიელ ჟურნალისტებს ვლადიმერ ბოისამ.

ჯგუფიდან გასვლა კი დაბევებული ჰქონდა, მაგრამ ლიუბლიანაში გასასეირნებლად არ ჩასულა ხორვატიული „ციბონა". პრესტიჟს და ჯგუფში უკეთესი ადგილის დაკავების სურვილს რომ თავი დავანებოთ, ზაგრებელებს ლიუბლიანელებისთვის საკუთარი სიძლიერის დამტკიცების სურვილი ჰკლავდათ — ესენი ხომ ადრე იუგოსლავიის დროშის ქვეშ იყვნენ და ამ ქვეყნის დაშლის შემდეგ ერთმანეთში დავობენ — არა მე ვარ ძლიერი, არა მეო.

ამიტომაც იყო, ზაგრებელებმა თავი რომ არ დაუხარეს მეტოქეს მაშინაც კი, როცა ბოისას ზეშედეგიანი თამაშის შემდეგ, მესამე მეოთხედის მიწურულს, 12 ქულით ჩამორჩნენ. აქვე გეტყვით, რომ ვოვამ მართლაც შესაშური სიზუსტე გამოიჩინა და თამაშიდან ნასროლი 8 ორქულიანიდან ყველა ჩააგდო, ამას სამი სამქულიანი და ორი საჯარიმოც მიაბა და 27 ქულით მატჩის ბომბარდირი გახდა.

ბოლო მეოთხედი „ოლიმპიამ" 12-ქულიანი უპირატესობით განაახლა, მაგრამ ზაგრებელებმა არ იკადრეს დათმობა და სლავენ რაჰიმიჩის დახმარებით ძირითადი დროს მიწურულს ორი ქულით მიუახლოვდნენ ლიუბლიანელებს.

ბოლო მეოთხედში ოლიმპიელთაგან მხოლოდ, ბოისა არ დაბნეულა, რომელიც ციბონელთა ქულების ნიაღვარს მოკრძალებით პასუხობდა და ხორვატებმაც ძირითად დროში ვერ მოახერხეს თამაშის მოგება. ოვერტაიმი თანაბრად დაიწყო, მაგრამ ბოლოსკენ ლიუბლიენელები გამოფხიზლდნენ და მომდევნო ეტაპზე გამსვლელი გამარჯვება მოიპოვეს.

ამ მატჩის შედეგზე ეკიდა B-ჯგუფელი „ჟალგირისის" ბედი, რომელმაც უკანასკნელ წამზე ვიქტორ ალექსანდერის ჯადო სამქულიანით შინ მოსკოვის ცსკა-სთან წააგო. პირველი ჯგუფური ეტაპის საუკეთესო მოთამაშის, არვიდას საბონისის მყოლ ვილნიუსელებს ერთი საათი გული უფანცქალებდათ, რაკი ოლიმპიელთა დამარცხების შემთხვევაში A ჯგუფში მე-6 ადგილს სერბული „პარტიზანი" იკავებდა, რომელსაც ბურთების ბალანსი „ჟალგირისზე" უკეთესი ჰქონდა. ესე კი „პარტიზანების" ადგილი აეკ-მა დაიკავა და საუკეთესო მე-6 ადგილოსნად, ანუ მეორე ჯგუფური ეტაპის უკანასკნელი მე-16 საგზურის მფლობელად ბალტიისპირული გუნდი გამოცხადდა.

**ირაკლი პერტაია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

19 თებერვალი

**მინესოტა 92:75 საკრამენტო**
მინესოტა: გარნეტი (22 ქულა, 24 მოხსნა), კასელი (18)
საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (15), სონგაილა (12)

**სიეტლი 101:112 ფილადელფია**
სიეტლი: ალენი (31), მიურეი (14)
ფილადელფია: აივერსონი (40 ქულა, 11 პასი), რობინსონი (26)

**კლიპერსი 102:100 ბოსტონი**
კლიპერსი: ბრენდი (39), დულინგი (16)
ბოსტონი: დევისი (23), ველში (20)

**აღმოსავლეთი**

| | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ნიუ ჯერსი | 32 | 20 | 61,5 |
| ნიუ იორკი | 26 | 29 | 47,3 |
| მაიამი | 23 | 32 | 41,8 |
| ფილადელფია | 23 | 32 | 41,8 |
| ბოსტონი | 23 | 33 | 41,1 |
| ვაშინგტონი | 16 | 36 | 30,8 |
| ორლანდო | 14 | 42 | 25,0 |
| **ცენტრალური** | | | |
| ინდიანა | 39 | 15 | 72,2 |
| დეტროიტი | 34 | 22 | 60,7 |
| ნიუ ორლეანი | 30 | 24 | 55,6 |
| მილუოკი | 28 | 25 | 52,8 |
| ტორონტო | 25 | 28 | 47,2 |
| კლივლენდი | 20 | 34 | 37,0 |
| ატლანტა | 18 | 36 | 33,3 |
| ჩიკაგო | 16 | 38 | 29,6 |

**დასავლეთი**

| | | | |
|---|---|---|---|
| **შუა-დასავლეთი** | | | |
| მინესოტა | 39 | 15 | 72,2 |
| სან ანტონიო | 36 | 18 | 66,7 |
| დალასი | 34 | 20 | 63,0 |
| ჰიუსტონი | 31 | 22 | 58,5 |
| მემფისი | 31 | 22 | 58,5 |
| დენვერი | 32 | 23 | 58,2 |
| იუტა | 26 | 29 | 47,3 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| საკრამენტო | 38 | 14 | 73,1 |
| ლეიკერსი | 33 | 19 | 63,5 |
| პორტლენდი | 25 | 28 | 47,2 |
| სიეტლი | 25 | 28 | 47,2 |
| გოლდენ სტეიტი | 23 | 29 | 44,2 |
| კლიპერსი | 23 | 30 | 43,4 |
| ფინიქსი | 18 | 38 | 32,1 |

# ...და სხვამ ხელებში მიყუროს?

## ჩალიჩა ფრანგი საქმის კეთებას გვასწავლის

## ალან მაიო ქართულ რაგბიზე, ხორცის მთებზე, ღვინოებზე, თამადაზე და საკუთარ თავზე

*ფრანგი ალან მაიო ორი წელია, საქართველოში ცხოვრობს და ქართულ რაგბიში ტრიალებს. ვეტერანი მორაგბე, პროფესიით კვების მრეწველი მეუღლის სამსახურის გამო მოხვდა საქართველოში. იოლად გაშინაურდა და უკვე მოასწრო თბილისური შვიდკაცის დირექტორობა. გახლავთ ბავშვთა კლუბის ტექნიკური კონსულტანტიც. მას ხშირად ნახავთ სარაგბო ნვეულებებზე თუ შეკრებებზე. მაიო დაუზარლად და სხვათა შორის, თავისივე ნებით ხშირად უმასპინძლდება სტუმრებს თავის მომზადებული და გაფორმებული კერძებით. როგორც თვითონ ამბობს, ეს მისთვის სათაკილო სულაც არა, მეტიც, ძალიან ბედნიერია, როცა სტუმარი ნასიამოვნები რჩება. ამ საინტერესო უცხოელზე დანარჩენს კი ინტერვიუდან შეიტყობთ*

**— როგორ მოხვდით საქართველოში და ქართულ რაგბიში?**

— ჩემი მეუღლე სტრასბურში კავკასიის საკითხთა ბიუროში მუშაობდა, როდესაც სამხრეთ კავკასიაში საფრანგეთის საელჩოს პოლიციის ატაშეს ადგილი შესთავაზეს. ოფისი თბილისშია და მეუღლესთან ერთად საქართველოში წამოვედი. უკვე პენსიაზე ვიყავი, მაგრამ უსაქმოდ ხომ ვერ გავჩერდებოდი? მოუსვენარი ტიპი ვარ და ძალიან მიყვარს რაგბი. გამომგზავრების წინ საფრანგეთში მცხოვრებ საქართველოს რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტ ზაზა ქასაშვილს დავუკავშირდი და ჩემი სამსახური შევთავაზე. რა თქმა უნდა, უანგაროდ, ყველანაირი ანაზღაურების გარეშე დავეხმარები-მეთქი. ქასაშვილმაც საკონტაქტო ტელეფონები მომცა.

**— როგორ დაიწყო თქვენი თანამშრომლობა?**

— პროფესიით კვების მრეწველი ვარ. ბანკეტების თუ საქმიანი სადილების და ვახშმების ორგანიზების გამოცდილებაც მაქვს. ამიტომ კავშირმა ეგრეთ წოდებული „მესამე ტაიმების" ორგანიზება მანდო. ოღონდ სარაგბო ამბებში მეტრიალა და ყველაფერზე თანახმა ვიყავი...

**— ძალიან მალე კი ევროპის შვიდკაცა სერიის თბილისური ტურნირის დირექტორიც გახდით.**

— შვიდკაცა რაგბის კურატორმა ქასაშვილმა იცოდა, რომ „ჩალიჩა" ტიპი ვარ და ჩემი კონტაქტებით ბევრის გაკეთება შემეძლო. ზაზამ თბილისური ეტაპის დირექტორობა და მისი ორგანიზება შემომთავაზა. მეც დავთანხმდი, რადგან ვხედავდი შემეძლო ამ საქმისათვის თავის გართმევა.

სიმართლე გითხრათ, თავიდან ძალიან გამიჭირდა. პირველი, რაც გავაკეთე, ბიზნესცნობარი ავიღე და ასე კარდაკარ დავიწყე ფირმების ოფისების „აკლება". ბევრგან კარსაც კი არ მიღებდნენ, მაგრამ მერე ვეუბნებოდი, რომ ფრანგი დიპლომატი ალან მაიო ვარ და უფროსებთან შეხვედრის შემდეგ კი მათ დათანხმებას ვახერხებდი. ასე მოვიზიდე საკმაოდ შეძლებული სპონსორები და ტურნირის ორგანიზებაც მოვახერხე. ევროპაში რაგბის განვითარების (FIRA-AER) საბჭოს, დამკვირვებლებმა კარგი შეფასება მოგვცეს. ცხადია, დებიუტანტების კვალობაზე. მე კი ვფიქრობ, რომ კიდევ უფრო უკეთესად შეიძლებოდა მისი ჩატარება.

**— მაინც რა დააკელით?**

— ტურნირი არ იყო სათანადოდ რეკლამირებული. ტელევიზიით და გაზეთებით ორი-სამი დღით ადრე დაიწყო ინფორმაციის მიწოდება, რაც საკმარისი არაა. ამასთან შვიდკაცა საქართველოში მაინც ახალი ხილია და ხალხი რომ ამ ხილით „მოწამლო", საჭიროა, ეგრეთ წოდებული პრომოუშენი. მე შევთავაზე რაგბის კავშირს, ბილეთების გარკვეული რაოდენობა უფასოდ დაერიგებინათ ბავშვთა გუნდებზე, კავშირმა კი არ მომისმინა და საკმაოდ დიდი რაოდენობის მაყურებელიც დაკარგა. მაგალითად ახლა ექვს ერზე საფრანგეთ-იტალიის მატჩზე დაახლოებით ოცი ათასი ბილეთი უფასოდ დაურიგეს ბავშვ მორაგბეებს. საფრანგეთის რაგბის ფედერაციამ იცის, რომ იტალიასთან სტადიონი სანახევროდ თუ შეივსება. ამ გზით მაყურებელსაც მოიზიდავს და ბავშვებსაც მოიმადლიერებს. გარდა ამისა, ტურნირი არ იყო სათანადოდ ორგანიზებული, არ შეიძლება საქმე ერთმა კაცმა აკეთოს, დანარჩენებმა კი ხელებში უყურონ.

**— წლეულსაც იქნებით დირექტორი?**

— საქართველომ მინიმუმ 1-2 წლით მოიპოვა თბილისური ეტაპის გამართვის უფლება. ქასაშვილმა ისევ მე შემომთავაზა დირექტორობა. თანახმა ვარ, ოღონდ სხვა პირობებია.

**— მაინც?**

— ივნისამდე ცოტა დრო დარჩა, ამიტომ მარტის მეორე კვირაში რაგბის კავშირს მოველაპარკები და შევთანხმდებით. ყველამ უნდა აიღოს თავისი წილი პასუხისმგებლობა. სხვათა შორის, „მიდი ოლიმპიკში" წავიკითხე, რომ კლოდ სორელი რაგბის კავშირის ტექნიკური კონსულტანტია. 6 მარტს საქართველო-რუსეთის მატჩზე საფრანგეთის რაგბის ფედერაციის ორ ჩინოვნიკთან ერთად ჩამოვა თბილისში. კლოდს მეც ველაპარაკე, მან დამიდასტურა ეს ინფორმაცია. მინდა, რომ კლოდიც დამეხმაროს შვიდკაცას ორგანიზებაში.



**— თბილისის შვიდკაცას დირექტორობის გარდა ბავშვთა კლუბ „ჯიქების" ტექნიკური კონსულტანტიც ხართ...**

— შარშან საქართველო—რუსეთის მატჩის შემდეგ გავიცანი კახა ალანია და ვეტერანი მორაგბე დავით გოცაძე, იგივე „სტამბულა". ესენი „ჯიქების" დამფუძნებლები და მწვრთნელები არიან, მათ შემომთავაზეს თანამშრომლობა და უარი არ მითქვამს. მორაგბეობისას ვთამაშობდი „ლა ვალეტში", „ლა სეინში", „ტელონში", „სკუფში" და ინგლისურ „სტადფორდში". შერკინების ბურჯი ვიყავი, სამი ნომერი. კონსულტანტის რანგში კი „სკუფში" მიმუშავია და ამ კლუბის 48 წლის წევრი ვარ.

**— გაზაფხულზე „ჯიქები" თხუთმეტწლამდელთა საკლუბო მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებენ, რომელიც საფრანგეთში, ბურგუნდიაში გაიმართება. როგორც ვიცით, ამაში დიდია თქვენი წვლილი.**

— არ ვიცი, რამდენად დიდია... ბურგუნდია და კახეთი დაძმობილებული რეგიონები არიან. ბურგუნდიის გამგებელთა კახეთში ვიზიტისას ბურგუნდიის საბჭოს მაღალჩინოსანი გავიცანი, რომელმაც რომ გაიგო, ბავშვთა კლუბის კონსულტანტი ვიყავი, რაგბიზე გამიბა საუბარი. მითხრა, ხომ არ ჩამოხვალთ, ბურგუნდიაში თხუთმეტწლამდელთა საკლუბო მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართებაო. ეს ტურნირი როგორც ნაღდი მსოფლიოს თასი ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება. ეს რომ გავიგე, საქართველოს რაგბის კავშირს მივაკითხე. აღმოჩნდა, თურმე მათ უკვე ჰქონიათ მიწვევა, მაგრამ რეაგირება არ მოუხდენიათ. მითხრეს, ფული არ გვაქვსო. რა გაეწყობოდა და ჩემით დავიწყე მოქმედება. მართალია, პარიზელი ვარ, მაგრამ ბურგუნდიაში ვიზიტებს ვუმრავლე და კახეთში გაცნობილ ბურგუნდიელ ჩინოვნიკს თავი შევახსენე. პარალელურად ტურნირის პრეზიდენტ დანიელ გალისთან მქონდა მიმოწერა ელექტრონული ფოსტით, მოკლედ, ერთ-ერთ ბოლო წერილში [illegible], რომ „ჯიქების" მგზავრობის და ცხოვრების ხარჯებს ბურგუნდიის მთავრობა კისრულობდა. თან ეს მნიშვნელოვანი დეტალია.

რაკი საქართველოს რაგბის კავშირმა რეაგირება დროულად არ მოახდინა, ჩვენს მაგივრად უკრაინული კლუბი ჩასვეს, მაგრამ მერე მოხსნეს და ისევ ჩვენ აღგვადგინეს, ესეც მეგობრების დახმარებით. ეკიპირების პრობლემა კი თავიდან ბოლომდე რაგბის მხარდამჭერთა ლიგამ მოგვიგვარა. სხვათა შორის, „ჯიქების" სახელით ამ ტურნირზე საქართველოს საკლუბო ნაკრები წავა. ბევრმა ეს სხვაგვარად გაიგო, არადა, ჩვენ გვინდა, რომ ბავშვთა სხვადასხვა კლუბიდან თითო მორაგბე მაინც წავიყვანოთ. ისინი თავიანთ გუნდებს იმ შთაბეჭდილებებსა და გამოცდილებას გაუზიარებენ, რომელსაც ბურგუნდიაში მიიღებენ. ამით მთლიანად ქართული საბავშვო რაგბი იხეირებს.

**— როგორც „მესამე ტაიმების" მომწყობი რა განსხვავებას ხედავთ ფრანგულ და ქართულ ბანკეტებს შორის?**

— სხვაობა დიდია. მე ძალიან მომწონს ქართული სამზარეულო, მაგრამ მას პეწს თქვენეული გაფორმება უკარგავს. არ მომწონდა ქართულ სუფრაზე კერძების ზედახორა. ბევრი უცხოელი წავიდა აქედან მშიერი მხოლოდ იმიტომ, რომ კერძის გასინჯვა მოერიდა. მაგალითისთვის თეფზე დევს დიდი ნაჭრებით დაჭრილი ქათამი. ერთმა ფრანგმა სცადა სასურველი ნაჭერის აღება, მაგრამ „ხორცის პირამიდა" ჩამოინგრა და მორიდებისგან მეორედ აღა უცდია ხელის გაწვდენა. რატომღაც თქვენთან ჰგონიათ, რომ თუ სუფრაზე კერძები ყრია ეს გულუხვობას და პატივისცემის ნიშანია. ჩემთვის ეს ფლანგვაა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გარეთ არის ხალხი, ვისაც ძალიან შია, მაგრამ ჭამის საშუალება არა აქვს.

**— ფრანგი კაცი ქართულ ღვინოებზე რა აზრისა ხართ?**

— ოოოო, ეს სხვა თემაა. თქვენ გაქვთ ძალიან კარგი ღვინოები, უცნაური ღვინოები და ძალიან უცნაური ღვინოები.

**— რას გულისხმობთ?**

— ძალიან კარგი ღვინო ალბათ ყველასთვის გასაგებია, უცნაური ღვინო ყურძნის წვენის და ქიმიის ნარევია, ხოლო ძალიან უცნაური ღვინო კი ღმერთმა იცის, რისგანაა დამზადებული. ხშირად ვსტუმრობ უბრალო სასადილოებს. იქ როგორც უცხოელს, ვითომ ყურძნის ნაღდ ნაჟურს მთავაზობენ, არადა, გასინჯავ და მიხვდები, რომ შაქრის და ქიმიის ნაზავია. ეს სტუმრის შეურაცხყოფაა. სხვათა შორის ვაღმერთებ თამადას, ოღონდ, სანამ დათვრება, მერე კი სუფრა აზრს კარგავს. ჩემთვის მიუღებელია ერთ სადღეგრძელოში გაუთავებლად ვუჭახუნოთ ერთმანეთს ჭიქები, ამ დროს იწყება ბლუ-ბლუ-ბლუ და ასე დაუსრულებლად. ჩემთან თუ ჭიქებს მივუჭახუნებთ, ვსვამთ კიდეც. სადღეგრძელო კი არ უნდა გლიდეს, უნდა გსიამოვნებდეს.

**ბაჩო სვანიძე**



შარშანდელი თბილისის შვიდკაცას გამარჯვებული საქართველოს ნაკრები. ალან მაიო მარცხნივ განაპირას დგას

ევროპის ერთა თასი. მეორე ტური

## ესპანეთი VS საქართველო

22 თებერვალი. ტარაგონა. 14.30 საათი

# ესპანეთმა საფრანგეთიდან როქის სპა იქირავა

**ესპანეთი**

**შერკინება**

ხავიერ სალასარი
სესარ კაბალიერო
მანუელ სერანო
დავიდ მონრეალი
დიეგო ზარზოსა
ფრანცისკო ლოპესი
პედრო დავილა
ივან კრიადო
იკერ ლოპეტეგი
რაფაელ კამაჩო
ხუან გონზალესი
ალფონსო მატა

**უკანა ხაზი**

ანტონიო ბელტრანი
იგორ მირონესი
ალფონს მარტინესი
ანდრეი კოვალენკო
იგნასიო მარტინი
ხავიერ კანოსა
ხოსე მარია რევილა
ბენჟამინ პარდო ვრაცი
სედრიკ გარსია
ფერან ვარესკო

**საქართველო**

**შერკინება**

ავთანდილ კოპალიანი
დავით დადუნაშვილი
დავით ხინჩაგაშვილი
გიორგი კუთარაშვილი
დავით გასვიანი
ილია ზედგინიძე (კაპ)
მამუკა გორგოძე
ლევან დათუნაშვილი
ზვიად მაისურაძე
ბესიკ უდესიანი
რევაზ ბელქანია
კახა უჩავა

**უკანა ხაზი**

ირაკლი მოდებაძე
ბიძინა სამხარაძე
ბობა კვინიხიძე
ვასილ კაცაძე
კახა ალანია
თედო ზიბზიბაძე
ბადრი ხეხელაშვილი
ოთარ ბარკალაია
ნონო ანდღულაძე
ლექსო გუგავა

ერთა თასის გათამაშების პირველი ტურის შემდეგ საქართველოსა და ესპანეთის ნაკრებები გათამაშების ცხრილში მეოთხე-მეხუთე ადგილებს იყოფენ. ხვალ ბარსელონას მეზობლად, ტარაგონაში, თბილისის დროით 14:30 საათზე ისინი ერთმანეთს დაეჯახებიან.

ბორჯღალოსნები კატალონიას გუშინ ეწვივნენ და წუხელ სრული შემადგენლობით პირველი ვარჯიშიც უნდა ჩაეტარებინათ. სწორედ ამ ვარჯიშის შემდეგ დააყენებდა მწვრთნელთა კვარტეტი საკვირაო შემადგენლობას. დღეს კი ზუსტად თამაშის დაწყების დროს სახვალიო მინდორზეც გაირბენენ.

ესპანეთის ნაკრებში ნახევარზე მეტი დებიუტანტია. ჩვენთან სათამაშო განაცხადში მოხვედრილთაგან წინა ევროპის თასებზე ოდენ ცხრა კაცს უთამაშია. თუმც ვინ იცის, იქნებ დებიუტანტებმა ძველებსაც აჯობონ, რამეთუ რამდენიმე მათგანი საფრანგეთის ჩემპიონატში გამობრძმედილი ჯეელია.

მეორეხაზელი პედრო დავილა და შუამარბი იგნასიო მარტინი სულაც „ბიარიცში" დიმიტრი იაშვილის გვერდით თამაშობენ. თან ორივე ოცი წლისაა. ამას ახალი მთავარი მწვრთნელი, ბრიტანელი ჯერარდ გლინიც დაუმატეთ, რომელსაც შარშან თვით კლაივ ვუდვორდის თანაშემწედაც კი უმუშავია და მიხვდებით, რომ „ლომები" თამაშიდან თამაშამდე მოუმატებენ.

განსაკუთრებით თვალშისაცემია მასპინძელთა შერკინების პირველი ხაზის მოთამაშეთა სიმსუბუქე. თუ 120 კილოგრამიან ხავიერ სალაზარს არ ჩავთვლით, დანარჩენების წონა ცენტნერს არ აღემატება.

მატჩის ტრანსლაცია ერთ-ერთი ადგილობრივი ტელეარხით კი მოხდება, მაგრამ როგორც რაგბის კავშირში გვითხრეს, მისი სახელის გამხელა მასპინძლებს არ მოუსურვებიათ.

დაბოლოს, ხვალინდელ მატჩს იტალიელი არბიტრი მაურო დორდოლო წარუძღვება. მისი პირველი ჩასტვენისთანავე გუნდები წუთიერი დუმილით რამდენიმე დღის წინ გარდაცვლილი ესპანეთის ნაკრების მორაგბე ხოსე ანხელ ხერმოსილას ხსოვნას მიაგებენ პატივს.

**ოთარ მაღლაკელიძე**



შარშანდელი საქართველო — ესპანეთი: სახელდახელოდ გადათოვლილ „ეროვნულზე" ვასილ კაცაძე ესპანელთა ხაზს მიარღვევს

## ევროპის ერთა თასი 2004. მეორე წრე

22 თებერვალი. ფარუ

### პორტუგალია — რუმინეთი

პორტუგალია: რუი კორდეირუ, იოაკიმ ფერეირა, ჟოზე კარლოს სეკუეირა, ანტონიო სერმენტუ, პაულუ სანტოსი, ბერნანდო მოტა, პაულუ გონსალვეში, მარსელო დორი, ლოურენსო ანდრადე, ვასკო უვა, ანტონიო კუნა, პაულუ მურინელუ, სებასტიანო კუნა, ჟოაო უვა, ლუიშ პისარა, პედრო ლეალი, ფილიპე გრენო, ფრანსისკო მორეირა, დიეგუ მათეუში, ფრედერიკო სოუზა, დევიდ მათეუში, ჟოაო ლიმა, ანტონიო აგილარი, გონსალო მელეირო

რუმინეთი: 15 ვალენტინ მაფტეი, 14 იოან ტოდერაშკუ, 13 კრისტიან სუანი, 12 რომეო გონტინიაკი, 11 ბოგდან ვოიკუ, 10 დანუც დუმბრავა, 9 იულიან ანდრეი; 8 სორინ სოკოლი (კაპ), 7 კოსტიცა მერსოიუ, 6 მადალინ ბარულეა, 5 პეტრე კრისტიანი, 4 ფლორინ ტატუ, 3 სეზარ პოპესკუ, 2 რაზვან მავროდინი, 1 დრაგოშ დიმა

სათადარიგოები: 16 პეტრისორ ტოდერაშკი, 17 ბოგდან ზებეგა, 18 მარსელ სოკაჩიუ, 19 აუგუსტინ პეტრიჩეი, 20 ლუჩიან სირბუ, 21 იონუც ტოფანი, 22 კონსტანტინ გერა

22 თებერვალი. კრასნოდარი

### რუსეთი — ჩეხეთი

რუსეთი: ???

ჩეხეთი: 15 იან როლიკი, 14 ტომას ნევიცკი, 13 მიროსლავ პეკარეკი, 12 ანტონინ ბრაბეკი, 11 ზდენეკ ზდაკი, 10 მარტინ კაფკა, 9 პაველ სიროვი; 8 ვლადისლავ ვონდრაშეკი, 6 მარტინ პეკარეკი (კაპ), 5 იან ჟილა, 4 მიროსლავ ნემეჩეკი, 3 პაველ სტასტნი, 2 ლუკას რაპანტი, 1 რომან სუსტერი

სათადარიგოები: 16 ირჟი სკალი, 17 ლუკას ჰადრმენტი, 18 მარტინ მარეკი, 19 ფილიპ ვაჟეკი, 20 ტომას კრეჟცი, 21 რობერტ ვოვეში, 22 ვიჩესლავ დოსედლაკი

## ექვსი ერი 2004

21 თებერვალი. გლაზგო

### შოტლანდია — ინგლისი



„ვარდების" ახალი ძველი კაპიტანი ლორი დალალიო

შოტლანდია: 15 ბენ ჰინშელვუდი, 14 საიმონ დანიელი, 13 ტომ ფილიპი, 12 ბრენდან ლენი, 11 საიმონ ვებსტერი, 10 კრის პატერსონი (კაპ), 9 კრის კიუსიტერი; 8 საიმონ ტეილორი, 7 კამერონ მათერი, 6 ჯეისონ ვაიტი, 5 სტიუარტ გრიმსი, 4 სკოტ მიურეი, 3 ბრიუს დუგლასი, 2 გორდონ ბალოკი, 1 ტომ სმიტი

სათადარიგოები: 16 რობერტ რასელი, 17 გევინ კერი, 18 ნათან ჰინსი, 19 ალისტერ ჰოგი, 20 მაიკ ბლერი, 21 დან პარკსი, 22 ენრიუ ჰენდერსონი

ინგლისი: 15 იან ბალშოუ, 14 ჯოშ ლიუსი, 13 ვილ გრინვუდი, 12 ჯეისონ რობინსონი, 11 ბენ კოენი, 10 პოლ გრეისონი, 9 ენდი გომარსალი; 8 ლოურენს დალალიო (კაპ), 7 რიჯარდ ჰილი, 6 კრის ჯონსი, 5 ბენ კეი, 4 დენი გრივკოკი, 3 ფილ ვიკერი, 2 სტივ ტომპსონი, 1 ტრევორ ვუდმენი

სათადარიგოები: 16 მარკ რეგანი, 17 ჯეისონ ლეონარდი, 18 საიმონ შოუ, 19 ალექს სანდერსონი, 20 მეტ დოუსონი, 21 ოლი ბარკლი, 22 ჰენრი პოლი

21 თებერვალი. პარიზი

### საფრანგეთი — იტალია

საფრანგეთი: 15 ნიკოლა ბრუსკი, 14 ვინსენტ კლერკი, 13 იანიკ ჟოზიონი, 12 დამიენ ტრაი, 11 კრისტოფ დომინისი, 10 ჟულიენ პერილონე, 9 ჟან-ბაპტის ელისალდე; 8 იმანოლ არინორდოკი, 7 ოლივიე მანი, 6 სერჟ ბესენი, 5 პასკალ პაპე, 4 ფაბიენ პელუ (კაპ), 3 პიტერ დე ვილერი, 2 უილიამ სერვა, 1 სილვიან მარკონე

სათადარიგოები: 16 იანიკ ბრუ, 17 ჟან-ჟაკ კრენკა, 18 დევიდ ორადუ, 19 ტომას ლივრემონტი, 20 დიმიტრი იაშვილი, 21 ბრაიან ლიბენბერგი, 22 პეპიტო ელორგა

იტალია: 15 როლანდ დე მარინი, 14 მირკო ბერგამასკო, 13 კრისტიან სტოიკა, 12 მატეო ბარბინი, 11 დენის დალანი, 10 რიმა ვაკარუა, 9 პოლ გრიფენი; 8 სერჯო პარისე, 7 აარონ პერსიკო, 6 ანდრეა დე როსი (კაპ), 5 მარკო ბორტოლამი, 4 სანტიაგო დელაპე, 3 მარტინ კასტროჯოვანი, 2 ფაბიო ონგარო, 1 ანდრეა ლო ჩიჩერო

სათადარიგოები: 16 კარლო ფესტუჩია, 17 სალვატორე პერუჯინი, 18 კარლო ჩეჩინატო, 19 სილვიო ორლანდო, 20 სიმონ პიჩონე, 21 ნიკოლა მაცუკატო, 22 მანუელ დალანი



ჟან-ბაპტის ელისალდემ ძირითადი გუნდიდან დიმიტრი იაშვილი ამოაგდო

22 თებერვალი. დუბლინი

### ირლანდია — უელსი

ირლადია: 15 გირვან დემფსი, 14 შეინ ჰორგანი, 13 გორდონ დარსი, 12 ბრაიან ოდრისკოლი (კაპ), 11 ტაირონ ჰოუი, 10 რონან ოგანა, 9 პეტერ სტრინგერი; 8 ენტონი ფოლი, 7 კიტ გლისონი, 6 საიმონ ისტერბი, 5 დონჩა ოკალაჰანი, 4 პოლ ოკონელი, 3 ჯონ ჰეიესი, 2 შეინ ბირნი, 1 რეჯი კორიგანი

სათადარიგოები: 16 ფრენკი შეჰანი, 17 საიმონ ბესტი, 18 მალკოლმ ოკელი, 19 ვიქტორ კოსტელო, 20 გაი ისტერბი, 21 დევიდ ჰამფრიზი, 22 კევინ მაგსი

უელსი: 15 გარეტ ტომასი, 14 რის უილიამსი, 13 სონი პარკერი, 12 იესტინ ჰარისი, 11 შეინ უილიამსი, 10 სტივენ ჯონსი, 9 გარეტ კუპერი; 8 დეფიდ ჯონსი, 7 მარტინ უილიამსი (კაპ), 6 ჯონათან ტომასი, 5 რობერტ სიდოლი, 4 ბრენტ კოკბეინი, 3 ადამ ჯონსი, 2 რობინ მაკბრაიდი, 1 იესტინ ტომასი

სათადარიგოები: 16 მეფინ დევისი, 17 გეთინ ჯენკინსი, 18 მაიკლ ოუენი, 19 ალიქს პოპჰემი, 20 დუეინ პილი, 21 სერი სუინი, 22 ტომ შენკლინი



უელსთან ჯახში ირლანდიის კაპიტანი ბრაიან ოდრისკოლი უბრუნდება



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩოგბურთი

# როჯერი გაზარმაცებულა

**ABN AMRO**
როტერდამი. ჰარდი
საპრიზო 842 ათასი ევრო

**მეორე წრე**

**როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია)** — ანდრეი პაველი (რუმინეთი) 7:6 (7:2), 7:5; **ხუან კარლოს ფერერო (2, ესპანეთი)** — იონ ვან ლოტუმი (ჰოლანდია) 7:5, 5:7, 7:6 (7:5); **ტიმ ჰენმანი (5, ბრიტანეთი)** — ტომაშ ჩაკლი (ჩეხეთი) 6:2, 6:4; **ლეიტონ ჰიუიტი (6, ავსტრალია)** — ტომას იოჰანსონი (შვედეთი) 7:6 (8:6), 7:6 (7:3); **რაემონ სლოიტერი (ჰოლანდია)** — სხენგ შალკენი (7, ჰოლანდია) 6:3, 6:4; **მაქს მირნი (ბელარუსი)** — ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) 7:6 (7:3), 7:6 (7:1); **იარკო ნიემინენი (ფინეთი)** — ალბერტ კოსტა (ესპანეთი) 6:2, 6:1


როჯერ ფედერერს სიზარმაცე მოეძალა

საქმეში თუნდ ჩაუხედავი კაციც კი მხოლოდ ზემორე წარმოდგენილ ანგარიშებზე დაკვირვებითაც იოლად შეამჩნევს, რომ ბობოლა სამეულს (ფედერერი, ფერერო, ჰიუიტი) მეოთხედფინალში გასასვლელად მძიმე ბრძოლების გადატანა მოუხდა. ამასთან, თუკი ფედერერმა და ჰიუიტმა თავ-თავიანთი მატჩები სეტისწაუგებლად მოამთავრეს, ფერერო მესამე სეტითაც დაიხარჯა.

თავის პირადსარეკორდო, ზედიზედ მე-16 შეხვედრა ამქრის ამჟამინდელმა პირველოსანმა რუმინელ ანდრეი პაველს მოუგო. ფედერერი პირველ სეტში 5:2 იგებდა და ისე ჩანდა, ყველაფერი მალე უნდა მორჩენილიყო. მაგრამ მერე დაეზარა თუ ინტერესი დაკარგა, პაველმა ამოყვინთვა და სიტუაციის დაძაბვა შეძლო. თუმცა გადამწყვეტ მომენტებში ფედერერს ჩოგანი აღარ შეჰყოყმანებია და თავის მიერვე გართულებული საქმე მარტივად გაამკაფიოვა.

მეოთხედფინალში ის ნატიფ ბრიტანელ ტიმ ჰენმანს შეხვდება, ვინაც იმ დღეს ციმციმ გაუსწორდა ჩეხ კვალიფიკანტ ტომაშ ჩაკლს. სხვათა შორის, ფედერერი და ჰენმანი ერთმანეთს აქამდე ექვსჯერ დაპირისპირებიან და ალპელის ერთი მოგების წილ კუნძულელი ხუთ გამარჯვებას მოიძევს.

აზრზე არა ვარ, რატომ მაქვს მასთან ასეთი ცუდი ბალანსიო, უკვირს ამქრის უსტაბაშს და ერთგულ ქომაგებს თანაფარდობის გაუმჯობესება ჰპირდება. მაგრამ ეს ქომაგები ნურც იმას დაივიწყებენ, რომ უკანასკნელი მარცხი, რასაც ეს თექვსმეტმოგებიანი სერია მიაყოლა, ფედერერმა გასულ ოქტომბერში, პარიზული მასტერსის მეოთხედფინალში სწორედ ტიმ ჰენმანისგან იწვნია.

**KROGER ST8 JUDE**
მემფისი. ჰარდი
საპრიზო 690 ათასი $

**მეორე წრე**

**ენდი როდიკი (1, აშშ)** — სებასტიან დე შონაკი (საფრანგეთი) 6:3, 6:3; **მარდი ფიში (2, აშშ)** — ფრედერიკ ნიმაიერი (კანადა) 1:6, 6:3, 7:5; **იოახიმ იოჰანსონი (შვედეთი)** — ჯეიმს ბლეიკი (6, აშშ) 6:3, 6:3; **დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი)** — უეინ ფერეირა (7, სამხრეთ აფრიკა) 6:4, 6:0; **ნიკოლას კიფერი (8, გერმანია)** — იურგენ მელცერი (ავსტრია) 7:6 (7:5), 6:7 (2:7), 6:3; **ჟან-მაიკლ გემბილი (აშშ)** — ბრაიან ბეიკერი (აშშ) 6:3, 6:4; **ტომას ენკვისტი (შვედეთი)** — ალექსანდრ პოპი (გერმანია) 2:6, 6:1, 6:4

მეოთხედფინალში მოსახვედრად ტურნირის მთავარგანთესილ ენდი როდიკს საათზე მხოლოდ ხუთი წუთით მეტი დასჭირდა. უსახელო ფრანგ დე შონაკს სწორედ ამდენი და ზედაც 15 გლაჯუნა ეისი ეყო. პირველ წრეში ტოდ მარტინთან გადატანილი სამსეტიანი დედამ-შვილი-არ-აიყვანა-ხელშის შემდეგ ეს როდიკისთვის მართლაც მსუბუქი და ჰარი-ჰარალო ამბავი გახლდათ.

სხვაფრივ — მეორე კვირაა, 21 წლის ახმახი შვედი იოახიმ იოჰანსონი ადგილობრივთა ჯილათაგანს ჯეიმს ბლეიკს ბერტყავს. მან ის სან ხოსეშიც მოთელა და ამის გამეორება არც ახლა გასჭირვებია. 46 წუთი და 17 ეისი — ამ მაჩვენებლებით იოჰანსონმა როდიკსაც კი გადაუჩოგნა.

**ATP BUENOS AIRES**
თიხნარი
საპრიზო 380 ათასი $

**მეორე წრე**

**კარლოს მოია (2, ესპანეთი)** — დავიდ სანჩესი (ესპანეთი) 7:6 (7:5), 1:6, 7:6 (7:5); **მარიანო საბალეტა (6, არგენტინა)** — ოსკარ ერნანდესი (ესპანეთი) 6:1, 6:4; **დავიდ ფერერი (ესპანეთი)** — ფლავიუ სარეტა (ბრაზილია) 7:6 (7:1), 3:6, 6:2; **ხოსე აკასუსო (არგენტინა)** — ოლივიე პასიანსი (საფრანგეთი) 3:6, 7:6 (11:9), 6:4

პირველი წრიდან გუსტავო კუერტენის მაოტარმა დავიდ ფერერმა მეორე წრეში მორიგი ბრაზილიელი, ფლავიუ სარეტაც დაიმორჩილა. ამაში მას ის ამბავიც დაეხმარა, რომ სარეტას მატჩის მსვლელობისას წელი გაუკავდა წელმა გაუჩმახა.

გაივაკა შარშანდელმა და კიდევ 1995 წლის ჩემპიონმა კარლოს მოიამაც. თუმცა საამამბოდ ნატიფმა მალიორკელმა კაი ძალი ოფლი დაღვარა — თვისტომმა სანჩესმა მას უმძაფრესი განდაგანა გაუჩალა და იმიტომ.

**ლევან ძელაურაძე**

## ჭადრაკი

**ლინარესის სუპერტურნირი**

ესპანეთი. 19 თებერვალი - 5 მარტი

**I ტური**

ალექსეი შიროვი (ესპანეთი) — გარი კასპაროვი (რუსეთი) 0,5:0,5
თემურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) — პიტერ ლეკო (უნგრეთი) 0:1
პაკო ვალეხო (ესპანეთი) — ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი) 0,5:0,5
ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) — დაისვენა

# სანამ დევს მძინა
## შიროვს კასპაროვთან ზავი შერჩა


პიტერ ლეკო

გაესპანელებული შიროვი ტრადიციას აგრძელებს და კასპაროვთან კვლავ არ აგებს. მსოფლიოს მე-13 ჩემპიონთან ქულის გაყოფა ყველასთვის დიდი პატივია, თუმც აქვე აღსანიშნავია, რომ სახელოვანი რუსი შავი ფიგურებით თამაშობდა და წლეულს ეს მისთვის პირველი სერიოზული შეხვედრა იყო. ამიტომაც ალექსეის ქება ჯერ ნაადრევია. მას უფრო სერიოზული გამოცდა მე-8 ტურში ელის, როცა ფორმაში კარგად შესული კასპაროვი თეთრი ფიგურებით დაუპირისპირდება.

პირველი ტურის შეხვედრაში რუსმა დებიუტი კარგად ნაცადი სიცილიური დაცვით არჩია. თუმც ამით პირენეელისგან დამალვა არც უფიქრია და თეთრების ფლანგებს მწარე კბენა დაუწყო. მუდამ ფრთხილი შიროვი მიხვდა, რომ კასპაროვთან, თუნდაც შავებით მოთამაშესთან, ხუმრობა არ შეიძლებოდა, ამიტომაც წინ წასვლისგან თავი შეიკავა და საკუთარ ტერიტორიაზე ჩაიკეტა. კასპაროვმა დაწოლა გააძლიერა, დიდი წვალების შემდეგ შავმა ლაზიერმა შეძლო თეთრების ჩაკეტილი ფლანგის გარღვევა და მეტოქე ხელმწიფესთან მიახლოება. მაგრამ აქ თეთრმა ეტლმა ივაჟკაცა და საკუთარ მეფეს გმირულად გადაეფარა. ერთი-ორი გაბრძოლების შემდეგ თავდამსხმელები მიხვდნენ, რომ მამაც ეტლთან შერკინება საკმაოდ რთული იქნებოდა და 35-ე სვლაზე ზავი ითხოვეს.

ყაიმ... დასრულდა მეორე ესპანურ-რუსული დუელიც. ვალეხომ და კრამნიკმა 18 სვლა „სისხლიან“ შეტაკებაში გალიეს და ყაიმით გაიყარნენ.

სუპერტურნირი კარგად დაიწყო ლეკომ. მადიარმა ნორჩ აზერბაიჯანელ რაჯაბოვს მოუგო და გათამაშების ლიდერი შეიქმნა.

16 წლის თემურმა პარტია დედოფლის გამბიტით დაიწყო და მეტოქეს ოფიცრითაც შეუტია. ლეკომ აზერბაიჯანელის სადებიუტო დარტყმებს იოლად გაუძლო და ყმაწვილს აგრძნობინა, ჩემთან ეგეთები არ გაგივაო.

მადიარი ფლანგების გამაგრებას შეუდგა და თან მეტოქე საკმაოდ შეავიწროვა. რაჯაბოვი სახელოვანი უნგრელის შემოტევებს არ შეუშინდა, წინ წამოსული შავების მისამართით რამდენიმე დამაბნეველი მანევრი განახორციელა და 29-ე სვლაზე პაიკი ლაზიერად აქცია. მაგრამ ამით დიდი არაფერი შეცვლილა, ლეკომ ახალგამომცხვარი დედოფალი იმწამსვე აიყვანა და თეთრებს კვლავ მძიმე ფიგურებით მიაწვა. რაჯაბოვმა ყაიმისთვის დაიწყო ბრძოლა, მაგრამ ვერაფერს გახდა და 45-ე სვლაზე დანებდა.

**ლაშა გეგეჭკორი**

## ჰოკეი

**რეგულარული ჩემპიონატი**

# ერთი ქალაქის ჩემპიონი
## რეინჯერსი პატარა უბნელებს იბრიყვებს

19 თებერვალი

**ოტავა 2:3 ატლანტა**
0:0 2:0 0:2 0:1
1:0 ბონდრა (36), 2:0 შეფერი (39), 2:1 კოუენი (44), 2:2 კოვალჩუკი (60), 2:3 მაკიკერნი (62)

**ჩიკაგო 3:6 სან ხოსე**
1:2 0:2 2:2
0:1 მარლო (5), 1:1 რუუტუ (9), 1:2 არიმო (15), 1:3 დამფუსი (23), 1:4 შტურმი (24), 1:5 კოროლიუკი (43), 2:5 მაკლინი (31), 3:5 ბერარდი (39), 3:6 ჩიჩუ (60)

**კაროლინა 1:2 ტორონტო**
0:1 0:0 1:0 0:1
0:1 მაკეიბი (8), 1:1 ჰილი (50), 1:2 ტაკერი (63)

**ვაშინგტონი 3:1 ნიუ ჯერსი**
0:0 2:1 1:0
1:0 გრირი (27), 1:1 ელიაში (35), 2:1 პეტინგერი (37), 3:1 ლანგი (44)

**მონრეალი 4:1 კალგარი**
1:1 2:0 1:0
1:0 სუნდსტრიომი (7), 1:1 იგინლა (19), 2:1 დაჟენე (33), 3:1 ბრისბუა (39), 4:1 დაჟენე (60)

**მინესოტა 6:2 ვანკუვერი**
3:0 3:1 0:1
1:0 შუინარი (4), 2:0 ლააქსონენი (15), 3:0 ბრიუნეტი (20), 3:1 ბერტუცი (23), 4:1 შუანარი (24), 5:1 ჰენრი (28), 6:1 გაბორიკი (32), 6:2 ოლუნდი (55)

**ფილადელფია 3:4 ბოსტონი**
2:2 0:1 1:1
0:1 გილი (5), 1:1 განიე (5), 1:2 ზაგუნერი (11), 2:2 ლეკლერი (16), 2:3 ბერგერინი (37), 2:4 მიურეი (41), 3:4 ლეკლერი (56)

**სენტ ლუისი 4:3 ტამპა**
0:1 1:1 2:1 1:0
0:1 ფედოტენკო (14), 1:1 ბეკმენი (24), 1:2 სტილმანი (35), 2:2 ბოგუნიცკი (45), 3:2 სალვადორი (52), 3:3 კუბინა (53), 4:3 უეიტი (62)

**რეინჯერსი 6:2 აილენდერსი**
3:0 1:2 2:0
1:0 მესიე (3), 2:0 ნედვედი (5), 3:0 ბარნაბი (18), 3:1 პაპინო (23), 4:1 იაგრი (29), 4:2 ვეინშანდლი (34), 5:2 კოვალიოვი (45), 6:2 ჰოლიკი (47)

„რეინჯერსს“ ამ ულიმლამო სეზონიდან ხუთი ტკბილი მოგონება შერჩება. ხუთივე მოსისხლე მტერ „აილენდერსს“ უკავშირდება. მეზობელე შურისძიებამ უდიდესი სიამოვნება მიანიჭა „ბროდვეის ხულიგნებს“ („რეინჯერსის“ ერთ-ერთი მეტსახელი). დღესდღეობით „რეინჯერსს“ საპლეიოფო შანსები აღარ აქვს. ზედიზედ მეშვიდე სეზონია აწბილებს იგი საკუთარ გულშემატკივრებს, მაგრამ „აილენდერსი“ კი ნამდვილად გაილახა.

ხუთშაბათის მატჩის განსაკუთრებული გამოდგა მასპინძლთათვის. უკვე მე-18 წუთისთვის გახდა ნათელი, რომ ორი ნიუიორკული კლუბიდან მეხუთედაც „რეინჯერსი“ იყოჩაღებდა. საბოლოოდ ასეც მოხდა, მაგრამ მთავარი შურისძიება მასპინძლებმა ბოლოსთვის შემოინახეს. 57-ე წუთზე რეინჯერსელმა დეილ პურინტონმა ერიკ კეირნსი მოიხელთა, რომელიც მანამდე მარტინ რუჩინსკის ეუხეშა. პურინტონმა შავი დღე აყარა მეტოქეს და კეირნსმა მუხლებზე რომ დაიჩოქა, მაშინაც არ შეწყვიტა ცემა-ტყეპა. ჩხუბში „აილენდერსის“ მეკარე გარტ სნოუ ჩაერია, მაგრამ მასაც მოხვდა და საბოლოოდ უმაისუროდ მოუწია ყინულის დატოვება. ბოლო წამებზე ჩხუბმა მასობრივი ხასიათი მიიღო, რომელშიც თვით მარკ მესიეც კი ჩაერია. ამ შეხლა-შემოხლაში განსაკუთრებით კრის საიმონი აქტიურობდა, მან ყინულზე მყოფ ყველა აილენდერსელს უთავაზა, მათ შორის ამ საქმეში ნაკლებად დახელოვნებულ რომან ჰამრლიკსაც.

„რა თქმა უნდა, დაბოლმილები ვიყავით და მთელი ეს ჯავრი პრინციპულ მეტოქეს დავანთხიეთ“ — თქვა მატჩის შემდეგ „რეინჯერსის“ თავკაცმა გლენ საზერმა. მისი აილენდერსელი კოლეგის სტივ სტირლინგის კომენტარი კი უფრო ლაკონიური იყო: „კი, ჩვენთან შეხვედრებში ჩემპიონები არიან.“

„აილენდერსს“ ერთი შანსიღა დარჩა... მომდევნო ხუთშაბათს ეს გუნდები სეზონში ბოლო, მეექვსე მატჩში შეერკინებიან ერთმანეთს.

**სამველ ლარიბიანი**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა